ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ბაჩანა ლობჟანიძე: „თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებული ვიყავი და ამას დავამტკიცებ“

„ჩემზე საქმეს კერავენ, მირჩიეს, წავიდე შვედეთში“



გვ.5

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2020 №166 (8430) ფასი: 60 თეთრი

# „პრემიერობის რეალური კანდიდატი სააკაშვილია“



კორნელი კაკაჩია: „სააკაშვილის დისტანცირება მისმა ფანებმა შესაძლოა ცივად მიიღონ, დისტანცირებას ვერც ივანიშვილი შეძლებს“



გვ.2

## „გიგა ბოკერიამ გამაოცა, უშიშარი კაცი ყოფილა“



გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი მაინც „ოცნებას“ აქვს“



## ისანში „ოცნებამ“ ორი კანდიდატი დააყენა — ვაშაძე და კახიშვილი



გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „გიორგი ვაშაძის თავისუფლების ხარისხი ნულის ტოლია. არ გამოვრიცხავ, ბიძინა ივანიშვილმა ვაშაძის გაპრემიერება მოითხოვოს. ასეთი აბსურდიც არ არის გამორიცხული „ქართული ოცნების“ ხელში!“



## „საქართველოს სუვერენული უფლებაა, გაატაროს თუ არა სომხეთის ტვირთი“

გვ.4



## ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნების“ შეცდომები სახეზეა, მისი რეიტინგი შემცირდა“

გვ.4

„სააკაშვილი რუსული სცენარის ელემენტია“

## სვანეთში დაკარგული მოზარდის საძიებო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება

გვ.2



ISSN 1987-9385

**3** სოზარ სუბარი: „ვანო მერაბიშვილი არავის სჭირდებოდა და გააგდეს“

**5** გიორგი შაქარაშვილის საქმის განხილვას 6 არასრულწლოვანი საპატიმროში დაელოდება

**5** თბილისის ცენტრალური საავადმყოფო: „პროკურატურის ბრალდებები აბსურდულია“

**6** ძლიერი აფეთქება ბეირუთში

ტრამპი: „ეს საშინელ თავდასხმას ჰგავს“

# კორნელი კაკაჩია: „პრემიერობის რეალური კანდიდატი სააკაშვილია“

იაგო ნაცვლიშვილი

**2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 3 თვეც აღარ რჩება. პარტიები ჩრდილოვანი კაბინეტის წარმოდგენას არ ჩქარობენ და არც არის პასუხი იმაზე, წარმოადგენენ თუ არა. გიორგი ვაშაძე კი, რომელმაც თავი პრემიერმინისტრობის კანდიდატად წარმოადგინა, ქილიკის საფუძველი გახდა. ქვეყნის მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ის პოლიტიკანად მოიხსენია. უნდა დაასახელონ თუ არა პარტიებმა ჩრდილოვანი კაბინეტი ან რამდენიმე საკვანძო თანამდებობების კანდიდატები მაინც და რა როლი ექნებათ არჩევნებში მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი კორნელი კაკაჩია საუბრობს.**

***— ახლოვდება არჩევნები და ამომრჩევლისთვის დეტალებს აქვს მნიშვნელობა. იწყება დისკუსია პრემიერობის კანდიდატურებზე. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს პარტიების ჩრდილოვანი კაბინეტის შესახებ ინფორმაცია?***

— რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობდა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. მაგრამ გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რაც ჩვენ გვაქვს პოლიტიკურ სპექტრში, სადაც გაურკვეველია ჯერ, ვინ ვისთან თანამშრომლობს და ვინ ვისთან არ თანამშრომლობს, ამ სცენარის განხორციელება რთული მგონია.

არც თვითონ პოლიტიკური პარტიები არ არიან ამისთვის მზად. იმიტომ, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია იმდენად სუსტია, რომ პრემიერმინისტრობის კანდიდატის და ჩრდილოვანი კაბინეტის წევრების დასახელებას რამდენად შეძლებს, არ ვიცი. თუნდაც ყველაზე ძლიერი პარტიებიც კი იმდენად დასუსტდნენ ბოლო წლებში, რომ მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები აღარ არის ისეთი, როგორიც მანამდე იყო. ეს ეხება მმართველ პარტიასაც და სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც.



***— გიორგი ვაშაძემ წარადგინა თავისი თავი პრემიერად და ვნახეთ პოლიტიკური აქტორების მხრიდან ქილიკი. რამდენად სწორი რეაქცია გგონიათ?***

— გააჩნია, საიდან შევხედავთ. თუ შევხედავთ იმ კუთხით, რომ ერთიანი ოპოზიციური კოალიცია იყო საჭირო და არიან ადამიანები, ვინც ამ იდეას ემხრობიან და მიიჩნევენ, რომ ამ ვითარებაში უფრო მეტია შანსი მმართველი პარტიის დასამარცხებლად, ვიდრე ცალკე. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, შესაძლოა არასწორიც იყოს, მაგრამ თუ შევხედავთ, ვისი პერსონალური სიმპათიის ფონზე ხდება ეს, სხვა საკითხია. მით უმეტეს, როდესაც მის კანდიდატურას სერიოზული პრობლემები შეექმნა იმის გამო, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ ჰქონდა განზრახვა, მხარი დაეჭირა მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი მას აქებდა და პრემიერმინისტრად მოიაზრებდა, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მივიდა, აღმოჩნდა, რომ მას სხვა გეგმები აქვს.

როდესაც საუბრობენ, რომ სააკაშვილი არ არის ჩვენთან და ზოგს მოსწონს და ზოგს არა, რეალურად ჩანს, რომ ყოველთვის მოიაზრება. ამ მოვლენებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს. იმის მიუხედავად, რომ თავადაც ცდილობს და პარტიის ლიდერებიც ეუბნებიან, რომ დიდად არ გამოჩნდეს, მაინც ჩანს და ყოველთვის მოიაზრება, რომ სააკაშვილია პრემიერობის რეალური კანდიდატი. ამ შემთხვევაშიც გამოჩნდა ეს.

## „სააკაშვილის დისტანცირება მისმა ფანებმა შესაძლოა ცივად მიიღონ, დისტანცირებას ვერც ივანიშვილი შეძლებს“

***— სააკაშვილმა ტვ პირველთან თქვა, რომ ის არ არის იმ პოლიტიკანთაგანი, რომელიც თანამდებობისთვის იბრძვის და მას ქვეყნის ბედი აღელვებს. რამდენად დამაჯერებელი ჩანს ეს სააკაშვილისგან?***

— სწორედ დასვით კითხვა, მთლად დამაჯერებლად არ ჩანს. ის ხშირად აკეთებს წინააღმდეგობრივ განცხადებებს. ზოგჯერ ამბობს, რომ მას არ აინტერესებს ქართული პოლიტიკა და ის უკრაინაში მოღვაწეობს, ხან ამბობს, რომ ის დაინტერესებულია საქართველოს პოლიტიკით და აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში.

ეს წინააღმდეგობრიობა ამომრჩეველს აბნევს. აქედან გამომდინარეა, რომ მისი უარყოფითი იმიჯი უფრო დიდია, ვიდრე იმ ხალხის რაოდენობა, ვინც მას უჭერს მხარს და უნდა, რომ ის მოვიდეს მაღალ თანამდებობაზე. ეს არის ის დილემა, რაც ნაციონალური მოძრაობის წინაშეა. მისი რეიტინგი საკმარისია იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა იყოს ერთ-ერთი წამყვანი ძალა ქართულ პოლიტიკაში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან მოუგოს „ქართულ ოცნებას“ და მოვიდეს მმართველ პარტიაში.

***— ზოგადად რამდენად მნიშვნელოვანია სააკაშვილის და ივანიშვილის ჩართულობა არჩევნებში მათი პოლიტიკური გუნდებისთვის?***

— ორივეს ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ მათ გარეშე ეს პოლიტიკური პარტიები ძალიან სუსტად გამოიყურებიან და ძალიან გაუჭირდებათ იმ შედეგის ჩვენება, რასაც ისინი აჩვენებენ.

***— გადამწყვეტი ფაქტორი იქნება მათი ჩართულობა?***

— ისინი უკვე პრინციპში ჩართულები არიან. ყველამ იცის, რომ ორივე პრაქტიკულად ჩართულია. მართალია, ჯერ მაინც კულუარულად და ვერ ვხედავთ, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია.

ქართველ ამომრჩეველს მობეზრდა ამ ორი პიროვნების გარშემო აგებული კოალიციები. საზოგადოებრივი კვლევებიც აჩვენებს იმას, რომ უფრო მოთხოვნაა კონსენსუსურ დემოკრატიაზე, სადაც პარლამენტში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე პოლიტიკური ძალა და არც ერთს არ ექნება გადამწყვეტი უმრავლესობა. აქედან გამომდინარე ამ ორპოლუსიანობიდან როგორ უნდა დააღწიოს თავი საქართველომ, ამაზე უფროა საჭირო დაფიქრება.

***— ამ ორი ლიდერის დისტანცირება ხომ არ იქნება უფრო მომგებიანი მათი პარტიებისთვის?***

— დისტანცირებასაც თავისი წესები აქვს. ივანიშვილმა რომ დისტანცირება მოახდინოს, არ გამოვა, რადგან ის მოქმედი თავმჯდომარეა და ყველამ იცის მისი ფინანსები. ამით არა მგონია, მის პარტიას რაიმე შედეგი ჰქონდეს. მაშინ ის ვერ გახდება მმართველი ძალა იმ პირობებში, რაც არის.

იგივე ეხება ნაციონალურ მოძრაობასაც. მიხეილ სააკაშვილს ჰყავს თავისი ფანები. ის ხალხი, ვინც ნაციონალურ მოძრაობას და მის იდეოლოგიას უჭერს მხარს. მათ აქვთ სურვილი, ისევ ნახონ სააკაშვილი ხელისუფლებაში.

***— ამ არჩევნებზე რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი?***

— ამ არჩევნებში გადამწყვეტი იქნება, თუ როგორ პირობებში შეხვდება მმართველი პარტია და ქვეყანა ამ არჩევნებს. პირველი ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, მეორე — სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

თუ ხელისუფლებას გაექცა კორონავირუსთან დაკავშირებული პროცესების მართვა, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა, მაშინ, როცა დაღმასვლით მიდიოდა, მაშინ გაიზრდება ოპოზიციის შანსები. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იქნება გამოსწორებული და ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ეპიდემიოლოგიური ვითარებაც თუ არ მართა და შედეგიც თუ არ იქნა, მაშინ გართულდება სერიოზული შედეგის მიღება.

***— ტრაგედიების სერიასა და კრიმინოგენური ვითარების დარეგულირებას არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა?***

— რა თქმა უნდა. ასევე მნიშვნელობა ექნება, რომ არჩევნები ჩატარდება თუ არა სუფთად. თუ ისევ ვიხილავთ „ძველი ბიჭების“ ჩართულობას, შესაძლოა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება სავალალოდ დამთავრდეს.

***— მათ შორის ლეგიტიმაციის საკითხსაც გულისხმობთ?***

— რა თქმა უნდა.

# სვანეთში დაკარგული მოზარდის საძიებო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერიდან გაუჩინარებული მოზარდის, ილია ფილფანის, საძიებო სამუშაოებს.

საძიებო სამუშაოებში ჩართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 80 მეხანძრე-მაშველი, პოლიციის დანაყოფები, დრონები, წყალზე მცურავი საშუალებები და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. მაშველები გაუჩინარებულ მოზარდს ეძებენ როგორც სვანეთში, ასევე, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. ილია ფილფანის ფოტოსურათი დაგზავნილია საქართველოს მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დანაყოფში.



საქართველოში არსებულ ყველა აქტიურ სატელეფონო ნომერზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის მიერ საინფორმაციო სამენოვანი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაიგზავნა ილია ფილფანის ფოტოსურათით, რათა მოქალაქეებმა, ნებისმიერი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, დარეკონ 112-ზე.

ილია ფილფანის გაუჩინარებიდან დღემდე, მეხანძრე-მაშველების მიერ დათვალიერებული და შემოწმებულია სოფლები: ლენჯერი, ლაშდღვერი, მესგუნი, ნემსია, სოლი, კაერი, ლხანი, ქართვანი, ლანხვრი, ისკარი, ცალანარი, ეცერი, კალაში, უშგული, უღვალი, ფარი, ზემო ლუჰა, ქვემო ლუჰა, ლახამულა, ნოდაში, მაგარდი, ლეზგარა, სვიფი, ღვებალდი, სოლი, კაერი, ლემსია, ქაშვეთი, ლაშთღვერი, ნესგუნი, ზარგაში, ქურელი, ბეჩო, მაზერი, ჯორკვალი, ლატალი და აღნიშნულ სოფლებში არსებული მიტოვებული სახლები და კოშკები.

ასევე, შემოწმებულია მუგვირის ტერიტორია, ქორულდის მთის ტერიტორია, ჭუბერი და მის გარშემო ტერიტორია, ლაღამი, ლანჩვალა, სოკოს უბანი.

მეხანძრე-მაშველებმა ფეხით გაიარეს ბეჩო-დიზი-ხაიში-ჯვარამდე ზუგდიდის მიმართულებით საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიები, ჭალადის მყინვარზე არსებული ტურისტული მარშრუტი, მესტიის საბაგიროს მიმდებარედ არსებული ტყის მასივი, მესტიის მთავარანგელოზის ეკლესიიდან სოფელ ლენჯერამდე ტყის ფერდობები, სოფელ ებუთის და ჰაწვალის მთის ტყის მასივი და უღელტეხილ ჰოკოს მიმდებარედ არსებული 4 ძველი უმოქმედო გვირაბი. ჯამში მეხანძრე-მაშველების მიერ შემოწმებულია 38 სოფელი და მისი მიმდებარე ტერიტორია.

ასევე, დათვალიერებული და შემოწმებულია 7 მდინარე, მდინარის კალაპოტი და მიმდებარე ხეობები.

მეხანძრე-მაშველებმა შეამოწმეს მთებში, საძოვრებზე არსებული სადგომები, მიტოვებული სახლები და გვირაბები, ასევე ტყეები.

საძიებო სამუშაოები მდინარე ენგურსა და ენგურჰესზეც მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ დაკარგული მოზარდის ოჯახთან. ილია ფილფანის მშობლებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებათ მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

მოზარდის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონულ სამმართველოში შეტყობინების მიღებისთანავე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც არასრულწლოვნის მიმართ წინასწარი შეცნობით თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს. ყველა ინფორმაცია, რომელიც არასრულწლოვნის გაუჩინარებას ან მის შესაძლო ადგილსამყოფელს უკავშირდება, მოწმდება სამართალდამცველების მიერ.

# გიორგი შაქარაშვილის საქმის განხილვას 6 არასრულწლოვანი საპატიმროში დაელოდება

6 არასრულწლოვანი გიორგი შაქარაშვილის საქმის არსებით განხილვას საპატიმროში დაელოდება.

მოსამართლე სოფიო ლეჟავამ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა ძალაში დატოვა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ძალადობის, ძალადობის ორგანიზებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმის ოქროს მოწმეებისა და ამავდროულად დაზარალებულების გურამ ამირხანაშვილისა და ვახო ახვლედიანების ჩვენებები, მტკიცებულებად დარჩა.

ადვოკატები მიიჩნევდნენ, რომ მოწმეებმა ჩვენებები რამდენჯერმე შეცვალეს, რაც კითხვებს აჩენს, სწორედ ამიტომ, ის დაუშვებელი მტკიცებულება უნდა გამხდარიყო. მოსამართლემ ადვოკატების ნაწილს მტკიცებულებათა შესახებ შუამდგომლობები დაუკმაყოფილა.

ადვოკატების მოთხოვნა, საქმის მასალებში 18 და 19 ივნისს ამოღებული ვიდეო მასალებისა და ჩვენებების დატოვებასთან დაკავშირებით, რომლის დაუშვებლობასაც ბრალდება ითხოვდა, მოსამართლემ დააკმაყოფილა.

გუშინ, 5 აგვისტოს, მხარეებმა მედიასთან არ განმარტეს, კონკრეტულად, რომელ ჩვენებებსა და რა კადრებზე იმსჯელეს პროცესზე.

საქმის პროკურორი ვარაუდობს, რომ 6 არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი გადაწყვეტილება დადგება. ბრალდების განცხადებით, საქმეში არასრულწლოვნების წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულება არსებობს.

სახალხო დამცველი გიორგი შაქარაშვილის საქმის შესწავლას განაგრძობს. ნინო ლომჯარიას განცხადებით, აპარატმა უკვე გამოიკვლია საქმის 23 ტომი და გამომძიებლებთან შეხვედრის აუცილებლობაზე საუბრობს.

პირველი წინა სასამართლო სხდომის მსგავსად, ზ.ხ-ს წარმოდგენილმა ჩვენებამ სხდომათა დარბაზში ხმაური გამოიწვია. ბრალდებულის მამამ მოსამართლე უყურადღებობაში დაადანაშაულა, რის გამოც სოფიო ლეჟავამ ბრალდებულის მამა სხდომათა დარბაზიდან გააძევა. მოსამართლის გადაწყვეტილებით არასრულწლოვნების ცალკე გამოყოფილი საქმის არსებითი განხილვა 18 აგვისტოს დაიწყება.




ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ისანში „ოცნებამ“ ორი კანდიდატი დააყენა — ვაშაძე და კახიშვილი

## დავით ჭიჭინაძე: „გიორგი ვაშაძის თავისუფლების ხარისხი ნულის ტოლია. არ გამოვრიცხავ, ბიძინა ივანიშვილმა ვაშაძის გაპრემიერება მოითხოვოს. ასეთი აბსურდიც არ არის გამორიცხული „ქართული ოცნების“ ხელში!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, ანრი ოხანაშვილი ამბობს, რომ კრიმინალური, დესტრუქციული ოპოზიციური ჯგუფები ძალიან ბინძური კამპანიის წარმოებას შეეცდებიან. როგორი წინასაარჩევნო გარემოს მოლოდინი გაქვთ?***

– რა სიბინძურეც ამ წლების მანძილზე გამოქვეყნდა, ამდენი არასდროს გამოქვეყნებულა. „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების მამხილებელ სიუჟეტებს თუ გულისხმობენ, ვერ გეტყვით. ეს დოკუმენტები მათ ამხელს კორუფციაში, ამ მაღალჩინოსნების გამდიდრებული ცხოვრების ისტორიებზე გვიყვებიან. ეს სულაც არ არის ბინძური კამპანია. ეს არის მათი მხილება, რაც ზოგადად ჩვენი ვალია.

რაც შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველ უკანონო ჩანაწერებს და შემდეგ მის გამოქვეყნებას, ეს ასეთი ინტენსივობით არასდროს არ მომხდარა, თან ამაზე არავინ არ დასჯილა.

***– რაზე იქნება „ქართული ოცნების“ კამპანია აგებული? შეიძლება ისევ სააკაშვილის ცხრაწლიან მმართველობაზე იყოს აქცენტი?***

– მეტი სხვა რაზე უნდა გააკეთონ აქცენტი?! ესა აქვთ ერთადერთი ხელჩასაჭიდი და მთელი ცხრა წელი არჩევნებს ამ კამპანიით ატარებენ. მაჟორიტარების წარდგენის დროს არაფერი არ თქმულა გარდა იმისა, რომ 2012 წელს როგორი გამარჯვება მოუტანეს ხალხს. არადა, არც ამ ოხანაშვილს და არც ამ კოლექტიურ ზარდიაშვილებს „ნაციონალური მოძრაობის“ გაშვებაში წვლილი არ შეუტანიათ. „ქართული ოცნების“ მთელი ტრაგედია წარსულზე ორიენტაციაშია. ისინი უკან იხედებიან და არა წინ. ქვეყანას მომავალი, პერსპექტივა სჭირდება, რაც მათ ხელში არ ჩანს. ამაშია მთელი მათი სიბინძურე.

თუ სატელიტი პარტიებით, ფსევდოოპოზიციის მეშვეობით დაიწყებენ კიდევ რაღაცრაღაცების გამოქვეყნებას და ამით შეიტანენ ოპოზიციაში დისონანსს, ეს თუ არის დაგეგმილი, არ ვიცი. ისე, ვურჩევდი, გამოაქვეყნონ იმ ფსევდოპარტიების სია, ვისაც აფინანსებენ.

***– არიან სატელიტები? საზოგადოებამ იცის მათ შესახებ?***

– რა თქმა უნდა! ყველაფერი ხელის გულზე დევს და კიდევ უფრო აშკარა გახდება. ისინი ამ ბინძურ კამპანიაში ღიად ჩაერთვებიან. სატელიტები ბევრი ჰყავთ, ეს არის მათი სტრატეგია. მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ფიქრობენ.

***– ისანში თქვენს ოპონენტებზე მინდა გკითხოთ, „ქართული ოცნებიდან“ კახი კახიშვილია და ოპოზიციიდან გიორგი ვაშაძე...***

– არა, არა, ორივე „ქართული ოცნების“ კანდიდატია.

***– გიორგი ვაშაძეც?***

– დიახ! თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ეს მისი პრობლემაა. ამომრჩეველი ყველაფერს ნათლად ხედავს. თუ ასე არ არის, მითხარით, რამ ვერ დააკმაყოფილა გიორგი ვაშაძე?! გაერთიანებულმა ოპოზიციამ საერთო კანდიდატად დაასახელა, მხარდაჭერა გამოუცხადა და რატომ გაიქცა?! კიდევ რა უნდა?!

***– პრემიერობა.***

– ასე არ არის, დეპუტატი ერთხელ მაინც უნდა გახდე. პარლამენტში არც ყოფილა. მინისტრის მოადგილე იყო, მაგრამ ადეიშვილი ახლა სულ მაგას ჰკითხავდა რა, როგორ უნდა ყოფილიყო. გიორგი ვაშაძის თავისუფლების ხარისხი ნულის ტოლია. თუმცა, სადაც ბახტაძე იყო პრემიერი, სულაც არ გამოვრიცხავ, ბიძინა ივანიშვილმა ვაშაძის გაპრემიერება მოითხოვოს. ასეთი აბსურდიც არ არის გამორიცხული „ქართული ოცნების“ ხელში!

***– ამას ალბათ სერიოზულად არ ამბობთ.***

– არა, ცხადია, თუმცა არაფერი არ არის გამორიცხული.

***– კახი კახიშვილზე რას იტყვით? ერთხელ თქვით, რომ კახიშვილთან ერთად მოხვედით „ქართულ ოცნებაში“, რომ მან მიგიყვანათ. ასეა?***

– კახი კახიშვილი და მე მეგობრები მრავალი წელი ვიყავით. „ქართული ოცნება“ იმდენად არაკეთილსინდისიერად, წვრილმანად უდგება ადამიანურ ურთიერთობებს, მეგობრობას, რომ ფიქრობენ, ეს პოლიტიკაზეც უნდა აისახოს. ამ ადამიანებს ოპონირებას ავალდებულებენ ჩემ წინააღმდეგ. საერთოდ მორალს აქვს ზღვარი. მეგობრობა იმდენად ტევადია, იმდენად დიდია ჩემთვის, რომ რა გითხრათ. რაც არ უნდა დაგავალონ, მეგობრის წინააღმდეგ არ უნდა წახვიდე. ეს „ქართულ ოცნებას“ ვერ გაუცნობიერებია. მე არ ვაპირებ მეგობრობის გასვრას. ერთადერთი, რისი თქმაც მინდა, ის არის, რომ კვალიფიციური იურისტია და რატომ დუმს დღეს?! რატომ არ ამბობს არაფერს იმ დანაშაულებებზე, რომლის გამოძიებაც არ ხდება?!



***– „ქართულ ოცნებაში“ პროცესები კალაძეს არ მიჰყავს. საარჩევნო სიასაც სხვა წერს. თითქოს ჩააჩოჩეს, მეურნე მერის პოზიციას ირგებს. რატომ?***

– კალაძის მთელი მოღვაწეობა მხოლოდ ჭავჭავაძის გამზირის რეკონსტრუქციასთან იქნება ასოცირებული. თბილისის 8 დეპუტატიდან მხოლოდ რამდენიმე დაუტოვეს, ორი, თუ არ ვცდები.

***– ვინ?***

– კობიაშვილი და ოდიშარია, მთაწმინდა-კრწანისის კანდიდატი. თუმცა, ამ კანდიდატების პრინციპულობას თუ გადავხედავთ, არ მგონია დიდ ხანს დარჩნენ დამარცხებულ გუნდში. კალაძე თუ წააგებს, მასთან როგორ დარჩებიან?!

***– წინასაარჩევნოდ როგორია თქვენი პროგნოზი, როგორი მოლოდინი გაქვთ?***

– ძალიან მძიმე სიტუაციაა. ძალიან ბუნდოვანია პერსპექტივა. კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება ამას ვერ აცნობიერებს ხელისუფლება. ერთადერთი გამოსავალი ადამიანზე ორიენტირებულობაა და არა კერძო სტრუქტურებზე. 30-წლიანმა ნარატივმა და ფსევდოლიდერებულებებმა დრო მოჭამა. მთავარი ამოსავალი ამ ქვეყანაში ადამიანი და მისი პრობლემა უნდა გახდეს.

# „გიგა ბოკერიამ გამაოცა, უშიშარი კაცი ყოფილა“

## თორნიკე შარაშენიძე: „არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი მაინც „ოცნებას“ აქვს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, კონდოლიზა რაისმა თქვა, რომ ქართველმა ხალხმა თავის გასაკეთებელი თავად უნდა გააკეთოს. რისი თქმა სურდა მას ამით?***

– ეს ნორმალურია. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს. ჩვენ ვირჩევთ, ხმას ჩვენ ვაძლევთ და არჩევანსაც ჩვენ ვაკეთებთ. ნურავის აქვს იმის მოლოდინი, რომ ყველაფერს დასავლეთი გააკეთებს. კონგრესმენმა ის თქვა, კონგრესმენმა ეს თქვა, ბევრს ავიწყდება, რომ ხმას აძლევს ქართველი ამომრჩეველი და არა – ამერიკელი კონგრესმენი. შესაბამისად, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, რა უნდა, თვითონ რა ურჩევნია. კონდოლიზაც ამას გულისხმობდა, რომ ეს ჩვენი გადასაწყვეტია.

***– რამდენად მკაცრი და აქტიური დაკვირვება იქნება?***

– დაკვირვება უკვე მიდის, რადგან საარჩევნო პროცესზე დაკვირვება უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად თანასწორი და სამართლიანი წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. არჩევნების დროს უკვე ისეთი აღარაფერი ხდება, რადგან გაყალბება სულ უფრო და უფრო რთული გახდა.

***– რა ხდება პოლიტიკურ ველზე, რამდენად თანასწორია სიტუაცია? ოპოზიციის მისამართით ბოლო პერიოდში მეტ კრიტიკას ვისმენთ, რომ მან ვერ შეძლო გაერთიანება.***

– ფაქტია, რომ ვერ შეძლეს. გამოჩნდება, რა ჯობდა. ერთი მხრივ, რახან ბარიერი ძალიან დაბალია, აზრი აქვს, რომ პატარ-პატარა პარტიები გავიდნენ ცალ-ცალკე და მერე ერთად მოგროვდნენ და გაერთიანდნენ „ოცნების“ წინააღმდეგ, მაშინ ამას აზრი აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, დაქსაქსულობა მაჟორიტარებში სერიოზული პრობლემაა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა „ოცნების“



წინააღმდეგ შეიკვრება. ეს ილუზიაა. ამაში არ ვგულისხმობ მარტო პატრიოტთა ალიანსს, ეჭვი მაქვს, არიან კიდევ სხვა პარტიები, რომლებიც „ოცნების“ წინააღმდეგ არ წავლენ პარლამენტში.

მექანიკურ დაჯამებას, რომ ოპოზიციას ამდენი ხმა აქვს, შესაძლოა, ახლა აზრი არ ჰქონდეს. იმიტომ, რომ ყველა პარტია ასე მარტივად არ წავა „ოცნების“ წინააღმდეგ. „ოცნება“ რომ დამარცხდეს, აუცილებელია, რომ იქამდე „ოცნებამ“ თავის თავი დაამარცხოს, იქამდე რაღაც სისულელეები ჩაიდინოს.

ამ ეტაპზე, „ოცნებას“ მაინც აქვს გამარჯვების კარგი შანსი. მით უმეტეს, ოპოზიციის ასეთი დაქსაქსულობის ფონზე.

***– დააზარალა ოპოზიცია გიორგი ვაშაძის ცალკე გასვლამ, ან რეგიონებში ცალ-ცალკე დაყენებამ მაჟორიტარი კანდიდატების?***

– მაჟორიტარების ცალ-ცალკე დაყენებამ დააზიანა ოპოზიცია, ხოლო რაც შეეხება ვაშაძის ცალკე გასვლას, ამ ურთიერთბრალდებებმა უფრო დააზარალა, თორემ გასვლაში ტრაგიკული არაფერია, შესაძლოა, ცალკე გასულმა ვაშაძემ უფრო მეტი ხმა აიღოს, ვიდრე ნაციონალებთან გაერთიანებულმა.

***– პარლამენტში შესვლის შემდეგ შესაძლოა კვლავ გაერთიანდნენ?***

– გამომდინარე იქიდან, თუ რა გუნდი ჰყავს ვაშაძეს, წესით, ისევ ნაციონალებთან უნდა გაერთიანდეს. თუმცა პოლიტიკაში ყველაფერი ხდება.

***– ვაშაძეს ჩხარტიშვილის პროექტს უწოდებენ.***

– არც ასეა საქმე. საქართველოში ყველა ყველას ნათესავია.

***– „ევროპულმა საქართველომ“ სამეგრელოში უგულავა და ბოკერია დააყენა. რა შანსები აქვთ, განსაკუთრებით გიგა ბოკერიას, რომელიც საკმაოდ არაპოპულარულ სახედ ითვლება ქართულ პოლიტიკაში?***

– მართალი რომ გითხრათ, ბოკერიამ გამაოცა. მას აქვს ეს პრობლემა, რომ სახალხო პოლიტიკოსი არ არის. როდესაც თავის თავი დააყენა, ამან ძალიან გამაოცა. აღმოჩნდა, რომ უშიშარი ადამიანია. შესაძლოა, როგორც პოლიტიკოსს, რაღაც ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ უშიშარი ადამიანია. გამარჯვების შანსი რამდენად აქვს, ვერ გეტყვით, მაგრამ თავად პროცესი ძალიან საინტერესოა. როგორც პოლიტიკოსისთვის, საინტერესო ეტაპია. გიგი უგულავას გაუჭირდება ზუგდიდში. იქ ფავორიტები მაინც იქნებიან „ოცნება“ და ნაციონალები. უგულავა ნაციონალებს ხმებს ვერ წაართმევს, ზუგდიდის დიდი ნაწილი გამოირჩევა პირადად მიშას სიყვარულით. ამიტომ ბრძოლა იქნება ნაციონალების და „ოცნების“ კანდიდატებს შორის.

***– რა ხდება თავად „ქართულ ოცნებაში“? რამდენად შეწყდა შიდა ბრძოლები და დაპირისპირება და თუ გადაერთნენ წინასაარჩევნო კამპანიაზე? როგორი სტრატეგია აქვს ივანიშვილს?***

– შიდა ბრძოლების თავი არა აქვთ მათ, რასაც მე ვუყურებ. ამის უფლებას არც ბატონი ბიძინა მისცემს, რომ ერთმანეთში იჩხუბონ კალაძემ და გახარიამ. მით უმეტეს, ბოლო პერიოდში მათ გაუჩნდათ პრობლემები.

***– რას გულისხმობთ?***

– იმ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ბუნდოვან, გახმაურებულ მკვლელობებს, თუ თვითმკვლელობას, ესეც არ გარკვეულა ბოლომდე. შესაბამისად, სანამ ეს სკანდალები მიდის და სკანდალს საფუძველი აქვს, რადგან აშკარად ადგილი აქვს რაღაცის მიჩუმათებას და ჩაფარცხვას, მათ ერთმანეთში ბრძოლა არ სჭირდებათ. ვნახოთ, ეს სკანდალები თუ გამოაფხიზლებთ მათ.

***– რაში უნდა აწყობდეთ წინასაარჩევნოდ, რომ ასე სკანდალურად წავიდეს ეს საქმეები? ვერ იძიებენ თუ მიზანმიმართულად მიდის ხელის დაფარება. რა შთაბეჭდილება გრჩებათ?***

– სისტემა რომ არის არასრულყოფილი, საქმეც ფუჭდება. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა არ მისულა და არ აინტერესებს არანაირად ამის ჩაფარცხვა. ვიღაცამ ჩაფარცხა ქვემოთ. მერე უკვე ამის ამოფარცხვა და გამოსწორება, როგორც ჩანს, რთული აღმოჩნდა. ვიღაც-ვიღაცებმა კვალი წაშალეს, ვიღაც-ვიღაცებმა რაღაც გადაწვეს. როდესაც სამხილები განადგურდა, მერე უკვე რთული აღმოჩნდა ობიექტური გამოძიება.

***– ქვედა რგოლების მიერ მოხდა ამ ყველაფრის გაფუჭება?***

– კი, ასეა. სისტემა, რომ იტყვიან, გასკდა. ქვედა რგოლებში მოინდომეს ვიღაცებისთვის ხელის დაფარება, ჩაფარცხეს საქმე და ახლა, რომც მოინდომონ, ვეღარ ასწორებენ სიტუაციას.

***– ბაჩალიაშვილის საქმეზე რას იტყვით? ოჯახი ამერიკული მხარის ჩართვას ითხოვს გამოძიებაში.***

– ვერ ვხედავ ამაში პრობლემას, ჩაერთოს ამერიკული მხარე. თუ რაიმე კითხვა არსებობს, ყველა კითხვა მაქსიმალურად უნდა მოიხსნას. ჩემი აზრით, ეს მთავრობასაც უნდა აწყობდეს. შაქარაშვილის საქმეში აშკარაა ხელის დაფარება და ჩაფარცხვის მცდელობა, აქ კი, სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ მიჭირს გარკვევა, რა მოხდა.

ერთი ვიცი, არჩევნების წინ ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს დატოვოს კითხვის ნიშნები, მით უმეტეს, როცა რეიტინგი დაბალი აქვს. არჩევნები მოდის და ასეთ დროს ყველაფერს დააბრალებენ, იმასაც, რაც არ გაუფუჭებია.

ამიტომ ეს უნდა გაითვალისწინონ და, თუ შესაძლებელი იქნება, კითხვები უნდა მოხსნან.

# სოზარ სუბარი: „ვანო მერაბიშვილი არავის სჭირდებოდა და გააგდეს“



– ვანო მერაბიშვილი არავის სჭირდებოდა და დარჩა ჰაერში, არსად წასულა, გააგდეს, უფრო სწორად, არავინ მიიღო.

ასე აფასებს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი, სოზარ სუბარი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებას, რომ არც საარჩევნო სიაში იქნება და არც მაჟორიტარად იყრის კენჭს.

როგორც სოზარ სუბარმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, ვანო მერაბიშვილი არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არ სჭირდება, ვინაიდან ის დისკრედიტირებულია.

– ვანო მერაბიშვილს ეს გადაწყვეტილება არ მიუღია, ვანო მერაბიშვილზე კარგად თქვა თეა წულუკიანმა, ციხიდან გამოსვლის აჟიოტაჟის მეორე დღეს – „ეს იქნება ცხელი კარტოფილი, რომელსაც ყველა ოპოზიციური პარტია ერთმანეთს გადაულოცავს და არავის მოუნდება ამ ცხელი კარტოფილის ხელში დაჭერა“ ან კახი კალაძემ რომ თქვა, „მეტი ვანო ოპოზიციასო“.

ცხადი გახდა მეორე დღესვე, რომ ეს ადამიანი არავის სჭირდებოდა, დისკრედიტირებული, არაფრის შემძლე, არაინტელექტით, არაადმინისტრაციული რესურსით, ანუ, ახლა მოპარული ფული თუ აქვს, იმას რომ არ დახარჯავს, ეს ვიცით. ამიტომაც, არავის სჭირდებოდა და დარჩა ჰაერში, არსად წასულა, გააგდეს, უფრო სწორად, არავინ მიიღო, ის პოლიტიკიდან წავიდა, გაუშვა ქართველმა ხალხმა 2012 წელს, – განაცხადა სუბარმა.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნების“ შეცდომები სახეზეა, მისი რეიტინგი შემცირდა“

## „სააკაშვილი რუსული სცენარის ელემენტია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოს ანზორ აბრალავას.**

***– ითვლება, რომ უკრაინაში კიდევ ერთხელ დასაქმებული საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ნაცმოძრაობის სიმბოლური ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მოწყვეტილია საქართველოს რეალობას. ამასთან, იგი დღითიდღე აქტიურდება, ახშირებს ჩართვებს, ამბობს, რომ პირადად იღებს მონაწილეობას ივანიშვილის ხელისუფლების გაშვებაში. რა ხდება?***

– სააკაშვილი თითქმის ყოველთვის იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკაში. ის დიდი ხანია, შორიდან აქტიურობს პროცესებში და იძლევა დავალებებს. ახლა ეს უფრო გამოჩნდა. რა უნდა სააკაშვილს? მან შესანიშნავად იცის, რომ მისი პარტია არჩევნებში გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. საუბარია ძალაუფლების დაბრუნებაზე. თორემ, ფრაქციას, ალბათ, მომავალ პარლამენტშიც შექმნიან. სააკაშვილი აქტიურობს არა არჩევნების მოსაგებად, არამედ, ის ამზადებს რევოლუციურ სცენარს. ამისათვის საჭიროა ხმაური, მძაფრი განცხადებები. ადრე ჯარს და პოლიციას მოუწოდებდა, ოპოზიციის მხარეს გადმოდითო. ახლა სხვა რამეს ამბობს.

***– მის გააქტიურებას სერიოზულობით არ უდგებით?***

– ასე არ ვიტყოდი. კაცმა არ იცის, ვინ რას განახორციელებს საქართველოში. სააკაშვილი მარტო არ არის. ის ადრეც რუსეთის დავალებებს ასრულებდა. ეკონომიკური ობიექტების უმრავლესობა სააკაშვილმა გადასცა რუსეთს. ახლაც სააკაშვილი არის რუსული სცენარის ელემენტი. საქართველო-უკრაინას შორის ურთიერთობების გაფუჭების მცდელობაც მოსკოვის ინტერესია. არ ვიცი, ნანობს თუ არა თავის გადაწყვეტილებას ზელენსკი.

***– გულისხმობთ სააკაშვილის დანიშვნას უკრაინის რეფორმების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში?***

– დიახ. საქართველომ და უკრაინამ არაფრით არ უნდა დაძაბონ ერთმანეთთან თანამშრომლობა. ეს მხოლოდ რუსეთს აწყობს. თვითონ სააკაშვილი ისეთი კარიერისტი და ავანტიურისტია, რუსეთში რომ დანიშნონ სადმე,



იქაც წავა.

***– აღნიშნეთ, რომ მას ახლა საქართველოში ხმაური სჭირდება. ამით რას მიაღწევს?***

– ეს კაცი თავის მომხრეებს იზიდავს. მისი მომხრეების დიდი ნაწილი წვრილფეხა კარიერისტია. მათი ანგარება და დიდებისმოყვარეობა გამოიხატება რომელიმე თანამდებობაზე დანიშვნაში. იქნება ეს გამგებელი თუ მუნიციპალიტეტის საგადასახადოს უფროსი. ნაციონალები სულ თავის ქებაში არიან. სინამდვილეში, მათ ვერც მძლავრი ინსტიტუტები შექმნეს და ვერც კარგი სისტემა. აღარაფერს ვამბობ მაშინ დანერგილ ჯალათურ მეთოდებზე. ეგენი მშენებლები კი არა, დამანგრევლები იყვნენ. საკუთარ ოჯახებსაც ანგრევდნენ. ოჯახები პირადულია და არ ვილაპარაკებ იმაზე, როგორ ინგრეოდა ოჯახები სააკაშვილის გარემოცვაში. ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო არაპროფესიონალების ნაკრებია.

***– თავის ბოლო ჩართვაში სააკაშვილმა ცუდად მოიხსენია ძველი პარტიები და აღნიშნა, რომ არ აპირებს პარტიების კოლექციონირებას. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც დამოუკიდებლად გავა არჩევნებზე, მიიზიდავს საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებს.***

– პარტიების უმრავლესობის მიმართ სააკაშვილის მოსაზრებას ვეთანხმები. თუ ოპოზიციურ ერთობას რამე მხარდაჭერა ჰქონდა, ეს ნაცმოძრაობის და პირადად სააკაშვილის ხმებია. არიან მარჩენალზე დამოკიდებული პარტია-ხურჯინები. მათ ტარებას არავის ვურჩევ.

***– იქნებ, დააკონკრეტოთ?***

– რესპუბლიკურ პარტიას არანაირი რეიტინგი არა აქვს. მის მიმართ ნეგატივი კი დიდია. რატომ უნდა ჩაისვას რესპუბლიკური პარტია ხურჯინში ნაცმოძრაობამ და რატომ უნდა დასვას პარლამენტში?! ახალგაზრდა მაჭუტაძეს რომ ამბიციები აქვს, ის რატომ უნდა იყოს პარლამენტში? ზოგიერთი პოლიტიკოსი გამოირჩევა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებითა და მოქმედებებით. თუმცა, ასეთები ახერხებენ სხვის ხარჯზე ხელისუფლებაში მოსვლას.

***– ქვეყნის დღევანდელი პრობლემებიდან ერთ-ერთი არასანდო მართლმსაჯულებაა. ქვეყანაში მოხდა ახალი მძიმე დანაშაულები, რომელთა გამოძიების იმედი ხალხის უმრავლესობას არ აქვს.***

– ეს მოსალოდნელი იყო. უთანასწორო დამოკიდებულებამ ხალხს მართლმსაჯულების მიმართ ნდობა დაუკარგა. მესმის, რომ არსებობს შეწყალების აქტი, მაგრამ ხალხი უთანასწორობას დიდი ხანია აკვირდება. ადამიანებმა გამოიარეს ჯალათური რეჟიმი. ისინი იმედით უყურებდნენ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც სამართლიანობა უნდა აღედგინა. რა მივიღეთ? 48 მილიონის წამლები კაცი გარეთაა, ხოლო ისინი, ვისაც 500 ლარი ან ძეხვი, ან ტელეფონი აქვს მოპარული, ციხეში სხედან. რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა თავისთავად დანაშაულის პატიებას რატომ უნდა ნიშნავდეს?! სხვა მოქალაქეებმა რა დააშავეს? მაშინ, ისინიც გამოვუშვათ! კანონთან ყველანი თანასწორები ვართ. ვინც უნდა იყოს, ჩემი შვილი თუ უცნობი ადამიანი, ან პოლიტიკოსი. ბოკერია ხანდახან იტყვის, რომ გარკვეული შეცდომები ჰქონდათ. ეს ზეპირი პასუხისმგებლობაა სამართალი? ჩვენ ალოგიკურ წრეში ვტრიალებთ.

***– პოლიტიკაში ბევრი ალოგიკურობაა?***

– რასაკვირველია. პოლიტიკური ველი აიღეს ინტრიგანებმა, რომლებიც აკვიატებულ აზრებს ავრცელებენ, და კონდოტიერებმა, რომლებიც მზად არიან, ფულის სანაცვლოდ ყველაფერი გააკეთონ. ტელემედია მათია. არადა, ისინი არ წარმოადგენენ ქართულ სახელმწიფოს და ქართულ კულტურას. ბანკირები რატომ უნდა მოდიოდნენ პარლამენტში? თანაც, ხაზარაძის მსგავსი ბანკირები, რომლებიც შემჩნეული არიან ინტერესთა კონფლიქტსა და არაპროფილურ საქმიანობაში. ხაზარაძის მხრიდან სოციალურ პროექტებზე საუბარი ცოტა უხერხულია. მის მიერ დაფინანსებული ლიტერატურული კონკურსი „საბაც“ ძალიან საეჭვო და სკანდალურია. ასეთი ხალხი იპყრობს ყველაფერს – სამშენებლო ბიზნესს, ბანკებს, პარლამენტს. აბა, მე და თქვენ სხვა მდგომარეობაში ვართ. ადამიანებს ქვეყანაში უნდათ საკუთარი შემოსავალი. მათ სახელმწიფოსგან შემწეობები კი არა, ხელშეწყობა და დაბრკოლებების მოხსნა სჭირდებათ. ადამიანს თუ ეკონომიკური თავისუფლება და შემოსავალი არ ექნა, ვერ იარსებებს.

***– არჩევნებს შევეხოთ. თქვენი შეფასებით, ახლანდელი მოდელით ბევრი არაფერი შეიცვლება. რომელიმე ერთ პარტიას თუ ექნება უმრავლესობის აღების შანსი?***

– დიახ. „ქართული ოცნების“ შეცდომები სახეზეა, მისი რეიტინგი შემცირდა, მაგრამ ამ პარტიას აქვს უმრავლესობის აღების შანსი.

***– ხომ არ აზვიადებთ?***

– არა. მე და ჩემი თანამოაზრეები კვლევებს ვატარებთ და ანალიტიკით ვართ დაკავებული. ნაცმოძრაობა პირველ ადგილზე ვერ გავა. კიდევ უფრო გაუჭირდება ბოკერიას და მის პარტიას. ასევე პირველ ადგილზე ვერ გავა გიორგი ვაშაძე, რომელიც ნაციონალებმა მოიძულეს, რადგან მათ გაემიჯნა. გიორგი ვაშაძეს ბრალად სდებენ იმას, რომ ვანო ჩხარტიშვილი მისი ცოლის ბიძაა. ერთად რომ იყვნენ, მაშინ არ იყო ბიძა?! ივანიშვილის მიმართაც მსგავსი რამ ხდება – როცა მასთან არიან, ის სანიმუშოა, ხოლო მას რომ გამოეყოფიან, მაშინ ოლიგარქი და დამანგრეველი ხდება. ის, ვინც უნდა დაეყენებინათ მაჟორიტარად, სიით გავა. საბოლოო ჯამში, სურათი არ შეიცვლება და „ოცნება“ მოიპოვებს უმრავლესობას. მის მხარეზეა სერიოზული ფაქტორები. ერთ-ერთი მთავარია ბიძინა ივანიშვილის პროექტები. მაგალითად, მშენებარე ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და აშენებული დენდროლოგიური პარკი.

***– დენდროლოგიურ პარკზე საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ „ოცნებისთვის“ ამის გამო არ მიუცია ხმა. პარკი ივანიშვილს შეეძლო ხელისუფლებაში მოუსვლელადაც შეექმნა. ხელისუფლებაში კი ხალხმა იმიტომ მოიყვანა, რომ სამართალი დაემყარებინა და ეკონომიკა გაეძლიერებინა.***

– დიახ. ამაზე ვისაუბრეთ. კანონი ყველასთვის უნდა მოქმედებდეს.

# „საქართველოს სუვერენული უფლებაა, გაატაროს თუ არა სომხეთის ტვირთი“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ვახტანგ, საქართველოს ხელისუფლება სომხეთის მიმართულებით ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთების გატარებას არ ადასტურებს. თუმცა, სერბეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან არა მარტო სომხეთს, არამედ აზერბაიჯანსაც მიაწოდა იარაღი. უფრო მეტიც, აზერბაიჯანს ათჯერ მეტი იარაღი მიაწოდა. რას ნიშნავს სერბეთის პრეზიდენტის ეს განცხადება?***

– სავსებით ნორმალური და საერთაშორისო სამართლით დაშვებული კანონიერი ქმედებაა. ფაქტია, რომ არავითარი უკანონო აქ არ იკვეთება. ეს არის ჩვეულებრივი განცხადება. თუ სერბეთს იარაღი აქვს და ის ქვეყნებიც, რომელსაც იარაღს აწვდის, საერთაშორისო ემბარგოს ქვეშ არ არიან, უკანონო არაფერია. სომხეთს და აზერბაიჯანს იარაღის შესყიდვაზე ემბარგო არ აქვთ დაწესებული. თუ ამ ქვეყნებს თანხა აქვთ, იარაღს შეიძენენ, თუ აქვს თანხა სომხეთს, იარაღს შეიძენს.

***– ვუჩიჩი განცხადებაში ამბობს, რომ გაუგებარია, რატომ წარმოიშვა სკანდალი, მაშინ ჩვენ იარაღი ვეღარავის უნდა მივყიდოთო.***

– აბსოლუტურად მართალია. შესაბამისად, ლოგიკური განცხადებაა.

***– თუმცა, როდესაც სამხედრო დაპირისპირებაა და ამ დროს ერთ-ერთი მხარისთვის იარაღის მიწოდებას უზრუნველყოფ, მაშინ იარაღის მიწოდება სხვაგვარად ჩანს. მხარდაჭერა უფრო გამოდის, ვიდრე უბრალოდ იარაღის მიყიდვა.***

– ჯერ ერთი, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი არ არის იარაღის შესყიდვის საერთაშორისო ემბარგოს ქვეშ. მეორეც – ეს შეიარაღება სომხეთს გადაეცა საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე. თან საბრძოლო მოქმედებები ლოკალურ ხასიათს ატარებდა და იარაღის მიწოდებას საერთაშორისო დონეზე არავითარი კატაკლიზმები არ გამოუწვევია.

არც საერთაშორისო ორგანიზაციებმა და არც საერთაშორისო აქტორებმა, მათ შორის, საქართველომაც არ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი იარაღს ყიდულობს. ამიტომ სერბეთის პრეზიდენტის განცხადებები სავსებით ლოგიკურია.

სერბეთს მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკისთვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის რომ მიეყიდა, მაშინ რეალური დარღვევა იქნებოდა და შეიძლებოდა ატეხილიყო სერიოზული განგაში. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი არ დარღვეულა.

***– საქართველოს შეეძლო უარი ეთქვა იარაღის გატარებაზე და პროტესტი განეცხადებინა, სომხეთი იარაღს რატომ ყიდულობსო? რა მიზეზით უნდა გაეკეთებინა ეს? თუმცა, ჯერ ზუსტად არ ვიცით, საქართველოს ხელისუფლებას არ დაუდასტურებია, სომხეთში იარაღის ტრანზიტისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას უარყოფს.***

– ეს არის საქართველოს სუვერენული უფლება, უნდა გაატარებს, უნდა არა. ასე რომ, არავითარი დარღვევა აქ არ არის, თუნდაც, საქართველოს გაეტარებინა სომხეთის ტვირთი.

***– ბევრი იარაღის კონცენტრირება აზერბაიჯანსა და სომხეთში საქართველოსთვისაც ხომ უსაფრთხოებას არღვევს, საშიში ხომ არის? მით უმეტეს, ჩვენზე მეტი იარაღი თუ ექნებათ, მერე შეიძლება ჩვენც შემოგვიტრიალდნენ.***

– ეს უკვე სხვა თემაა. ეს აბსოლუტურად სხვა საკითხია. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, აზერბაიჯანმა მიიღო სამხედრო– სარაკეტო კატარღები, რომელიც ოფიციალურმა ბაქომ ისრაელში შეიძინა. ამ ტვირთის გადატანა ფოთის პორტიდან წითელ ხიდამდე საქართველომ უზრუნველყო. აზერბაიჯანმა ის კასპიის ზღვაში გამოიყენა.

***– აზერბაიჯანი გვიფასებს იმას, რომ ჩვენი ტერიტორიის გავლით მათ სამხედრო ტვირთებს უპრობლემოდ ვატარებთ?***

– შალდაგის პროექტი და შალდაგის საბრძოლო კატარღებია, საკმაოდ ძლიერი შეიარაღებაა გატანილი საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის საზღვაო აკვატორიაში.

***– მერედა, აზერბაიჯანი ამას გვიფასებს-მეთქი?***

– არ ვიცი, გვიფასებს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, სერბეთის იარაღის გატარებას (თუ გატარდა) არ მოჰყოლია ისეთივე დაპირისპირება საქართველოს მიმართ აზერბაიჯანის მხრიდან, როგორც აზერბაიჯანსა და სერბეთის შორის იყო. სერბეთის ელჩი დაიბარეს, პროტესტი განუცხადეს და აზერბაიჯანმა გააკრიტიკა სერბეთის ხელისუფლება.

ჩვენ მიმართ მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაცია იყო, მეტი არაფერი. არც ჩვენი ელჩი დაიბარეს და არც ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. არც კონსულტაცია გაიმართა ჩვენს საელჩოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის. როგორც ჩანს, თვითონაც მიხვდნენ, რომ ამის საფუძველი არ არსებობდა, რადგან სამართლებრივად და პოლიტიკურად, საქართველო აბსოლუტურად მართალია.

***– ამ ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთი თავის ინტერესებს კავკასიის რეგიონში შეფარულად, მეორე ქვეყნების, მაგალითად, სერბეთის მეშვეობით ახორციელებს ამ შემთხვევაში იარაღის მიწოდებით?***

– არა მგონია. მე მგონი, იარაღი სომხეთმა შეიძინა. სერბეთი ახლა უფრო ახლოსაა რუსეთთან, მით უმეტეს, დღევანდელი პრეზიდენტის ვუჩიჩის მმართველობის პერიოდში და, როგორც ჩანს, სომხეთმა სერბეთისაგან შეიძინა შეიარაღება, როგორც მისი ერთ-ერთი ახლო პარტნიორისაგან. სომხეთს შეუძლია შეიარაღება შეიძინოს სხვა ქვეყნებისაგანაც.

***– სომხეთს სხვა გზით შეუძლია შეიარაღება მიიღოს?***

– რატომაც არა. სომხეთი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. მას შეუძლია იარაღი სხვა ქვეყნისაგან შეიძინოს. ეს პოლიტიკური კონიუნქტურის საკითხია.

***– სომხეთს სხვა სატრანსპორტო დერეფნის საშუალებით შეუძლია გადაიტანოს იარაღი?***

– თეორიულად შეუძლია მიიღოს ირანის, საქართველოსა და საჰაერო გზით. აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით სომხეთი შეიარაღებას ვერ მიიღებს, ეს გასაგებია.

***– ჰაერით მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების გადატანა შესაძლებელია?***

– დიახ, არსებობს სპეციალური მძიმე ტვირთმზიდავი სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ათასიდან რამდენიმე ათას ტონამდე ტვირთის გადაზიდვა. მათ შორის, საზღვაო ტანკერები, ჯავშანმანქანები.

***– საქართველოს საჰაერო გზითაც?***

– პრინციპში, რატომაც არა.

***– რამდენად შესაძლებელია იმის შემოწმება, საჰაერო გზით რა ტვირთი გადააქვთ?***

– ეს საქართველოს პრეროგატივაა. საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილებაა. ტვირთის შემოწმება შეუძლია. შეუძლია მძიმე ტვირთმზიდავი თვითმფრინავი მის ტერიტორიაზე დასვას და შეამოწმოს. მარშრუტის შეთანხმება, ტვირთის სახეობის მონაცემების გადმოცემა წინასწარ ხდება. ამას არეგულირებს კანონი.

# ბაჩანა ლობჟანიძე: „თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებული ვიყავი და ამას დავამტკიცებ“

## „ჩემზე საქმეს კერავენ, მირჩიეს, წავიდე შვედეთში“

ბაჩანა ლობჟანიძე, რომელიც თავს 23 წლის გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებულს უწოდებს, აცხადებს, რომ თამარ ბაჩალიაშვილი 19 ივნისის შემდეგ არ უნახავს, მისი გაუჩინარების შესახებ კი ფაქტიდან 3 დღის შემდეგ გაიგო.

როგორც მან „პალიტრავიდეოს“ და „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სოციალური ქსელების გამოყენებით, ის საქმის დამოუკიდებლად გამოძიებას ცდილობს.

ის, თამარ ბაჩალიაშვილის დედის ბრალდებებსაც პასუხობს და აცხადებს, რომ გარდაცვლილის დედის გაღიზიანება, მის მიერ გფბ-ს ჩართვასთან დაკავშირებულმა მოსაზრებამ გამოიწვია.

– მე მომწერა თამარის დედამ, ქალბატონმა თეონამ, რომ აპირებდა აქციის გამართვას ამერიკის საელჩოსთან გფბ-ს ჩართვასთან დაკავშირებით. მე, როგორც ინჟინერმა, ვუპასუხე, რომ გფბ-ს „ეფლის“ რაიმე ნაწარმთან, „მაკბუკთან“ არანაირი კავშირი არ აქვს. მონაცემების გამოთხოვა, ცნობილი „ქეისია“ და ვერ მოხდა „ეფლისგან“. ქალბატონ თეონას ვერ მოსთხოვ, რომ ეს მან იცოდეს, მაგრამ ეს მოხდა მის ემოციურ ფონზე, მე მას რომ შევეწინააღმდეგე, ჭკუის სწავლება დავუწყე, დამბლოკა „მესენჯერიდან“. შესაძლოა, ეს გაბრაზება გაყვა და ამიტომ ახსენა, რომ მე მოგზავნილი ვარ.

ისე, მას მიხეილ რამიშვილზეც აქვს ეჭვი, რომ მიგზავნილია. მე და თამუნას გვაქვს ფოტოები, ვიდეოები ერთად გადაღებული, ეს მაქვს მობილურ ტელეფონში და მე ამას გავასაჯაროვებ, როგორც კი ექსპერტიზიდან დამიბრუნებენ მობილურს. მე და თამარს, ორივეს, 19 ივნისს გვაქვს დაბადების დღე და ერთად ლისზე და ძველ თბილისში აღვნიშნეთ. ერთმანეთს ვუღებდით ვიდეოს. ეს ვიდეო მაქვს და ამას აუცილებლად გავასაჯაროვებ. მგონი, არ ვარ ეს ფსევდოშეყვარებული, – განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ.



მისივე თქმით, თამარ ბაჩალიაშვილი მას ფიზიკურად 19 ივნისის შემდეგ არ უნახავს, რადგან ბაჩალიაშვილს კომპანია „ზეგიდან“ წამოსვლამდე გარკვეული ვალდებულებების შესასრულებლად დრო სჭირდებოდა.

– ფიზიკურად ერთმანეთი 19 ივნისის შემდეგ არ გვინახავს, იმიტომ, რომ ჩვენ შევთანხმდით, „ზეგში“ რომ მორჩებოდა, უნდა წამოსულიყო იქიდან. მერე კიდევ ვკითხე, მომდევნო დღეებში და მითხრა, რომ კიდევ არ იყო წამოსული. მე ველოდებოდი, როდის წამოვიდოდა, რომ მერე ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობა ერთად დაგვეწყო.

მე მისი დაკარგვის ამბავი გავიგე, სამი დღის გაუჩინარებული რომ იყო. პოსტი გამომიგზავნეს, პარკში ვიყავი, სახლში გავიქეცი მერე. მერე ისევ ტელევიზიით გავიგე ეს ყველაფერი. მე და მას ისეთი მეგობრები არ გვყავდა, ერთმანეთი რომ მოგვეკითხა, თუ არ გამოვჩნდებოდით. 18-19-20 ივლისსაც მივწერე თამარს, მაგრამ ეს არ იყო შოკისმომგვრელი, რომ არ მიპასუხა, იმიტომ, რომ ვიცოდი, სამსახურში ვალდებულებებს უნდა მორჩენილიყო და უკვე წამოვიდოდა იქიდან და განვახორციელებდით გეგმებს.

მობილურში დასქრინული მაქვს მიმოწერები და, ცხადია, ამას გავასაჯაროვებ. მე გამოძიებაში ვარ დღე და ღამე, გუშინ ვჭამე ორი ვაშლი, მეტი არც მიჭამია, არც მიძინია წესიერად, – განაცხადა ლობჟანიძემ.

მისივე თქმით, ის თამარს პირველი კურსიდან იცნობს.

– ერთ უნივერსიტეტში ჩავაბარეთ. თამარი ისეთი სახის ადამიანი იყო, რომ მარტივად არ შეეძლო მასთან არავის საუბარი. მე არ მქონდა გოგონებთან ხშირი ფლირტი, დაინტერესებული ვიყავი მათემატიკით და პროგრამებით, – განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ.

მისი თქმით, ის საქართველოში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს და მას პრივატულ საუბრებში შვედეთში წასვლა ურჩიეს.

– არ ვგრძნობ არანაირად თავს დაცულად იმიტომ, რომ მე მქონდა პრივატული საუბრები, მირჩიეს, რომ წავიდე შვედეთში. მე ამ საქმეს აქედან ვერ მოვიგებ. შეიძლება კამერები დავაყენო ჩემი სახლის არეალთან, – აღნიშნა ბაჩანა ლობჟანიძემ.

მან ეჭვი გამოთქვა, რომ შესაძლოა მასზე „საქმეს კერავენ“.

– მე ეჭვს მიჩენს, რომ შეიძლება ჩემზე „საქმეს კერავენ“ თვითონ, არ ვიცი ვინ „კერავს“, იმიტომ, რომ ჩემი მობილურია იქ, ჩემი პირადი ინფორმაციაა და ზოგადად, მე მაქვს ადმინისტრაციული კოდექსით უფლება, რომ გავიგო, რას ფიქრობს ჩემზე სახელმწიფო, რა ინფორმაცია აქვს ჩემზე სახელმწიფოს.

გუშინწინ თუ იმის წინ იქ მივედი და ამაზე ვკითხე და მითხრეს, რომ გადაუდებელი წესით ამოიღეს, განჩინება იყო მოსამართლის და ა.შ. მე დღესაც უნდა მოვითხოვო ეს მობილური იმიტომ, რომ იქ ჩემი პირადი ინფორმაციაა, ასევე იქ მიდევს ჩიპი, რომელიც 120 გიგაბაიტია და იქ სხვა მონაცემებიც მაქვს, – განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ.

# მიხეილ რამიშვილი: „ბაჩანა ლობჟანიძე დაკითხულია მრავალჯერ და კიდევ გაგრძელდება მისი სუბიექტის დადგენა“

თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ადასტურებს, რომ ბაჩანა ლობჟანიძე მას კომპიუტერის ექსპერტიზაზე წაყვანილი ჰყავდა, რადგან მან იცოდა, რომ ის ამ სფეროში გარკვეული იყო.

ადვოკატის თქმით, ბაჩანა ლობჟანიძე ბაჩალიაშვილის საქმეზე არაერთხელ არის დაკითხული და მისი სუბიექტის დადგენის საკითხი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ გაგრძელდება.

– რაც შეეხება ბაჩანა ლობჟანიძის საკითხს, ის დაკითხულია მრავალჯერ და კიდევ გაგრძელდება მისი სუბიექტის დადგენა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ურთიერთობები, ვთქვათ, თამუნასთან, მის სამეგობრო წრესთან. მე ვადასტურებ, რომ ის მყავდა ექსპერტიზაზე წაყვანილი, რადგან მე მქონდა ინფორმაცია, რომ მას აქვს კომპიუტერთან შემხებლობა და იცის ეს საქმე. მე ვერ გეტყვით, ის რატომ გრძნობს თავს საქართველოში დაუცველად და რატომ ითხოვს თავშესაფარს, ამის თაობაზე მან აუცილებლად უნდა განაცხადოს სამართალდამცავ ორგანოებში. მე ეს პიროვნება თამუნას ოჯახში გავიცანი, როდესაც მივედი დაკრძალვის დღეს, იჯდა სუფრასთან, გამაცნეს, როგორც თამუნას მეგობარი, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

# თბილისის ცენტრალური საავადმყოფო: „პროკურატურის ბრალდებები აბსურდულია“

## გიორგი ლობჟანიძეს 100.000 ლარიანი გირაო შეეფარდა, ვახტანგ ყიფიანს – პატიმრობა

„თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“ თანამშრომლების დაკავების თაობაზე განცხადებას ავრცელებს.

„პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად მცდარია პროკურატურის ბრალდება, თითქოს თაღლითური გზით, უსაფუძვლოდ განხორციელდა პაციენტის ოჯახის წევრების დარწმუნება, იტალიელი ექიმების მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

ეს ფაქტი სავსებით არ შეესაბამება რეალობას, ჩვენი კლინიკა ბოლო რამდენიმე წელია თანამშრომლობს იტალიის ქალაქ ბერგამოს საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორებთან რობერტო აგაცისთან და რობერტო ნანისთან და მათი მეთვალყურეობის ქვეშ და ჩვენი სამედიცინო გუნდის ჩართულობით, ბოლო 3 წლის განმავლობაში 98 პაციენტს წარმატებით ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია. ეს იყო ზუსტად ის, რისთვისაც პაციენტმა მიმართა საავადმყოფოსა და ასევე იტალიელ სპეციალისტებს.

მოცემულ შემთხვევაშიც დასტურდება იტალიელი ექიმების ჩართულობა. კერძოდ, პაციენტ ნ.ც.-ს, სიმსივნური წარმონაქმნის აბლაციის მიზნით, ქართველ-იტალიელ ექიმთა ჯგუფის მიერ წარმატებული ოპერაცია, პირველად ჩაუტარდა 2018 წლის 18 სექტემბერს. ოპერაციას მეთვალყურეობდა და ზედამხედველობდა ცნობილი იტალიელი ექიმი რობერტო აგაცი. მოცემული ოპერაციის დადებით შედეგებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პაციენტს მნიშვნელოვნად მოეხსნა პათოლოგიით გამოწვეული ჩივილები.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, პაციენტმა კვლავ იგრძნო დისკომფორტი, იტალიელ ექიმებთან განმეორებითი კონსულტაციის შედეგად და მისი მოთხოვნით, 2018 წლის 11 ნოემბერს დაიგეგმა ხელმეორე ოპერაცია. ოპერაციის დაწყებისას, ანესთეზიოლოგის მიერ პაციენტის ანესთეზიის პროცესში მისი მდგომარეობა გაუარესდა და მიუხედავად, იტალიელ-ქართველი ექიმების ჯგუფის მზაობისა, ქირურგიული ჩარევის მაგივრად, საჭირო გახდა რეანიმაციული ქმედებების განხორციელება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გაუგებარი და აუხსნელია, სად იკვეთება თაღლითური ქმედების ნიშნები.

ასევე, უსაფუძვლო და მცდარია პროკურატურის განცხადება, რომლის მიხედვით, დაკავებულ ექიმს ვახტანგ ყიფიანს არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია მოცემული სერვისის ჩასატარებლად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ყიფიანი გახლავთ ცნობილი, რა თქმა უნდა, ლიცენზირებული ექიმი, ინტერვენციული რადიოლოგიის დარგში, 15 წელზე მეტი სტაჟით. მხოლოდ ბოლო 12 თვის განმავლობაში მის მიერ 2000-მდე გადაუდებელი ოპერაცია ჩატარდა. აღნიშნული მანიპულაციაც წარმოადგენდა ინტერვეციულ-რადიოლოგიურ ჩარევას, ვინაიდან პროცედურის დასაწყისშივე გართულდა პაციენტის მდგომარეობა და არ განხორციელებულა ქირურგიული ჩარევა, ნათელია, რომ ვახტანგ ყიფიანის ქმედებები ვერ გახდებოდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების საფუძველი.

პროკურატურის განცხადებით, ოპერაციის დროს დაკავებულმა ექიმმა ვახტანგ ყიფიანმა „დაიხმარა“ ექიმი მაგდა ხოჭოლავა, რომელსაც არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია. ეს განცხადება, როგორც სხვა დანარჩენი, მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას. პირველ რიგში, ტერმინი „დაიხმარა“ არის მცდარი და არ შეესაბამება სამედიცინო პროცესის მიმდინარეობას. მაგდა ხოჭოლავა წარმოადგენს ექიმ-ანესთეზიოლოგს, რომელიც პაციენტის საოპერაციო დარბაზში შეყვანის შემდგომ უზრუნველყოფს პაციენტის დაძინებას (ანესთეზიას) და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ოპერაცია. ეს არ არის დახმარება ორ ექიმს შორის, ეს არის დამოუკიდებელი სამედიცინო პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაგდა ხოჭოლავა არის მოქმედი ანესთეზიოლოგი, რომელსაც გააჩნია იტალიაში შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია, რომელიც ადასტურებს მის კომპეტენციებს. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, იტალია შესულია იმ ქვეყანათა ნუსხაში, რომელთა მიერ გაცემული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობით, მის მფლობელს აქვს უფლება, საქართველოში განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა შესაბამის სპეციალობაში, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე. მაგდა ხოჭოლავას კომპეტენციაზე მეტყველებს მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც საქართველოში (შესაბამისი სერტიფიკატის საფუძველზე), ასევე ქვეყნის გარეთ, კერძოდ, იტალიაში.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცდარია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს მაგდა ხოჭოლავა თავს არიდებს გამოძიებასთან ურთიერთობას და მან, სპეციალურად ამ მიზნით დატოვა ქვეყანა. რეალურად მაგდა ხოჭოლავა ცხოვრობს და მოღვაწეობს იტალიაში, სადაც დღემდე ეწევა აქტიურ სამედიცინო საქმიანობას, ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში. აღნიშნული დეტალი, სრულებით ცვლის პროკურატურის მიერ დაყენებულ ბრალდებებს არალიცენზირებული საქმიანობის გაწევასა და ქვეყნიდან „გაქცევის“ თაობაზე.

ასევე, აბსურდულად მიგვაჩნია, პროკურატურის განცხადება, რომ კლინიკის დირექტორმა გიორგი ლობჟანიძემ ჯეროვნად არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და დაუდევრად მოეკიდა პაციენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. პაციენტს სრული სამედიცინო პროცედურების დაცვით ჩაუტარდა და დღემდე უტარდება ყველა საჭირო სამკურნალო პროცედურა და ამ საკითხთან დაკავშირებით დირექტორის მიერ ამ ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა სრული კომუნიკაცია პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ გამოძიება მიმდინარეობდა თითქმის 2 წლის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში, საქმესთან ყველა დაკავშირებული პირი, აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან, სამედიცინო დაწესებულების ინტერესში შედის, სასამართლოს გზით დადგინდეს სრული ჭეშმარიტება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, თუმცა მიუღებლად მიგვაჩნია ამ მოცემულობაში ექიმების მოულოდნელი დაკავება და მთელი რიგი უსაფუძვლო ბრალდებების წაყენება.

იმედი გვაქვს, ჩვენი გუნდის წევრები ძალიან მალე გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას“ – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

გუშინ, 5 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ დირექტორ გიორგი ლობჟანიძეს აღკვეთი ღონისძიების სახით 100.000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეუფარდა, ხოლო ამავე კლინიკის ექიმს ვახტანგ ყიფიანს კი აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე დავით კურტანიძემ გამოაცხადა.

ბრალდების მხარე, პროკურატურა „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ დირექტორისა და ამავე კლინიკის ექიმების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.

# საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის რეგიონულმა ლაბორატორიებმა საერთაშორისო სტანდარტის – ISO17025:2017-ის შესაბამისობის აკრედიტაცია გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის რეგიონულმა ლაბორატორიებმა ქალაქ ბათუმში, ქალაქ ახალციხესა და ქალაქ გორში წარმატებით გაიარეს საერთაშორისო სტანდარტის – ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისობის აკრედიტაციის შეფასების პროცესი.



საქართველოში ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც ექსპერტიზის რეგიონული ლაბორატორიების აკრედიტაცია ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტის – ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად.

აკრედიტაციის მოსაპოვებლად საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში დამტკიცდა მეთოდური სახელმძღვანელოები, სტანდარტული სამოქმედო და ადმინისტრაციული პროცედურები, ასევე, ამავე დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის რეგიონული ლაბორატორიის ექსპერტებმა ამერიკული აკრედიტირებული კომპანიების (CTS, RS&A) მიერ მოწოდებული ტესტებით გაიარეს საერთაშორისო პროფესიული ტესტირება. აღნიშნული ტესტებით ხდება ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების კვალიფიკაციის შემოწმება და დადასტურება.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიების მიერ ISO17025:2017-ის აკრედიტაციის მიღების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ჩართულობითა და მხარდაჭერით.

„მეამაყება, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL) უკვე 20 წელია, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ლაბორატორიებთან თანამშრომლობს. ჩვენ ექსპერტ-კრიმინალისტებს დახმარებას ვუწევდით ტექნიკური და საჭირო კონსულტაციების კუთხით, ასევე, მათი გადამზადება განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოხარული ვართ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ ლაბორატორიებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და ვიმედოვნებ, რომ არსებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“ – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) დირექტორმა რებეკა ჰანტმა.

საერთაშორისო სტანდარტით აკრედიტაციის მოპოვების შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიების მიერ მომზადებული დასკვნა აღიარებული და მისაღები იქნება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას ექსპერტიზის სხვა მიმართულებების ეტაპობრივი აკრედიტაციისთვის და 2020 წლის აგვისტოს ბოლომდე, ასევე, იგეგმება ჰაბიტოსკოპიური და დოკუმენტების ტექნიკური/გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მოთხოვნების შესაბამისად.

# ძლიერი აფეთქება ბეირუთში

## ტრამპი: „ეს საშინელ თავდასხმას ჰგავს“

5 აგვისტოს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ჩაიმსხვრა ახლომდებარე შენობების მინები და ჩამოინგრა აივნები.

აფეთქება ქალაქის საპორტო ნაწილში მოხდა, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობი იყო.

6 აგვისტოს ინფორმაციით, დაღუპულია 100, დაშავებულია 4.000 ადამიანი.

ლიბანის ოფიციალური პირები მომხდარს ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობს უკავშირებენ.

ქვეყნის პრეზიდენტმა მიშელ აუნმა ტვიტერში განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ 2.750 ტონა ამონიუმის ნიტრატის საწყობში უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იყო.

ძლიერი აფეთქების შედეგად ლიბანში გაეროს დროებითი ძალების საზღვაო გემი დაზიანდა და რამდენიმე სამხედრო-საზღვაო მშვიდობისმყოფელი დაშავდა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში 2-კვირიანი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება. გარდა ამისა, მიშელ აუნმა 3-დღიანი გლოვა გამოაცხადა.



ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბი აშკენაზი უარყოფს ნებისმიერ ვერსიას, რომლის თანახმადაც, ბეირუთში მომხდარ აფეთქებაზე შეიძლება ისრაელი იყოს პასუხისმგებელი.

როგორც ადგილობრივ ტელევიზიასთან საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, „არ არსებობს მიზეზი, არ დავიჯეროთ გავრცელებული ინფორმაცია, რომ აფეთქება შემთხვევითობა იყო“.

ამ თემაზე სიენენი ისრაელის ხელისუფლებაში ესაუბრა ორ მაღალჩინოსანს, რომლებმაც ასევე დაადასტურეს, რომ ისრაელი აღნიშნულში არ არის გარეული.

მანამდე ბეირუთში მომხდარი აფეთქების ერთ-ერთ ვერსიად ისრაელის მიერ რადიკალურ დაჯგუფება „ჰეზბოლას“ საწყობზე იერიშის მიტანა დასახელდა.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ ბეირუთში, სავარაუდოდ, თავდასხმა განხორციელდა.

– ეს საშინელ თავდასხმას ჰგავს. შეერთებული შტატები ლიბანის დასახმარებლად მზადაა, – აღნიშნა ტრამპმა.

კითხვაზე, თუ რას ეფუძნება აფეთქების შესახებ მისი შეფასება, აშშ-ის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ის რამდენიმე ამერიკელ გენერალს შეხვდა.

– როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ ეს თავდასხმა იყო. ეს გარკვეული სახის ბომბი იყო, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

ევროკავშირმა მაღალ დონეზე გაწვრთნილი 100 მეხანძრე სახანძრო მანქანებით, ძაღლებითა და სპეციალური აღჭურვილობებით ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში გააგზავნა.

ამის შესახებ კრიზისის მართვის საკითხებში ევროკომისრის, ჯანეზ ლენარჩიჩის, მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

– ვიზიარებთ ლიბანელი ხალხის შოკსა და მწუხარებას და ამ რთულ პერიოდში ევროკავშირი მათ სრულ მხარდაჭერას სთავაზობს, – განაცხადა ევროკომისარმა.

მისივე თქმით, ლიბანელი ხალხისთვის დახმარების გაწევის სურვილი ნიდერლანდებმა, საბერძნეთმა, ჩეხეთმა, საფრანგეთმა, პოლონეთმა და გერმანიამ უკვე გამოთქვეს.

# საფრანგეთში ტყის ხანძარს უშედეგოდ ებრძვიან

საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ბუშდიუ-რონის დეპარტამენტში, ტყის ხანძარს უშედეგოდ ებრძვიან.

ხანძრის ჩაქრობას 1.200-ზე მეტი მეხანძრე და 7 ვერტმფრენი ცდილობს. როგორც ირკვევა, ცეცხლი 4 აგვისტოს საღამოს გაჩნდა და 500 ჰექტარზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები და ტყის მასივი გაანადგურა.

ამასთან, დეპარტამენტის ხელისუფლებამ ხანძარსაშიში ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია განახორციელა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად გიორგი შარვაშიძე აირჩიეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აკადემიურმა საბჭომ მომდევნო 4 წლის ვადით გიორგი შარვაშიძე აირჩია.

ფარული კენჭისყრის პროცესში აკადემიური საბჭოს 38 წევრიდან 37 წევრმა მიიღო მონაწილეობა. აქედან გიორგი ბარამიძემ მიიღო 1 ხმა, ცირა ბარამიძემ – 1 ხმა, გიორგი შარვაშიძემ – 32 ხმა, 3 ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი. არჩევნებს 2 დამკვირვებელი აკვირდებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ არჩევნების შედეგები დაამტკიცა და გიორგი შარვაშიძის უფლებამოსილებაც ცნო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## მამაკაცი ერთ დღეში მამაც გახდა და ლატარიის გამარჯვებულიც

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ სენტ-ლეონარდსის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი იმავე დღეს მოხსნა, რა დღესაც შვილი შეეძინა.

მამაკაცის თქმით, მან ორშაბათს გადაწყვიტა ლატარიის ბილეთის ყიდვა, რომლის გათამაშება იმ დღეს იმართებოდა, რა დღესაც ის ბავშვის დაბადებას ელოდებოდა.

– ამავე დღეს უნდა დაბადებულიყო ჩვენი შვილი და ვგრძნობდი, რომ ბედი გაგვიღიმებდა. ჩვენ მართლაც გაგვიმართლა, – განაცხადა ავსტრალიელმა.

მამაკაცის მიერ ნაყიდმა ბილეთმა მთავარი პრიზი 71,6 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო, ხოლო მის მეუღლეს სრულიად ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა.

– ჩვენ ერთსა და იმავე დღეს შეგვეძინა ბიჭი და მოვიგეთ ლატარიაში. ეს ყოველმხრივ წარმოუდგენლად ბედნიერი დღე იყო, – აღნიშნა მამაკაცმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ მოგებული ფული მათ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.

## რვასართულიანი სახლის სახურავიდან გადმოვარდნილი მამაკაცი გადარჩა

ჩინეთის ქალაქ შენიჩჟენში მამაკაცი რვასართულიანი სახლის სახურავიდან გადმოვარდა და ცოცხალი გადარჩა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი ჯერ მინივენის სახურავზე დაეცა და შემდეგ მიწაზე გადმოვარდა.



სამშაბათს, 28 ივლისის საღამოს, პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცი, გვარად ჩჟანი, პიკის საათის დროს სახლის სახურავიდან გადმოვარდა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ მამაკაცს გონება არ დაუკარგავს და ისე გამოიყურებოდა, თითქოსდა არანაირი დაზიანება არ მიუღია. ის სხვის დაუხმარებლად წამოდგა ფეხზე, შემდეგ ტროტუარზე დაჯდა და დაახლოებით ცხრა წუთს იმყოფებოდა ასეთ მდგომარეობაში, სანამ საავადმყოფოში არ წაიყვანეს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე არაფერია ცნობილი.

– თავდაპირველად ის თავად წამოდგა, თუმცა შემდეგ ოფლმა დაასხა, ხოლო სახის ფერი შეეცვალა, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

მეორე თვითმხილველმა კი განაცხადა, რომ ახალგაზრდას გაუმართლა, რადგან მინივენს, რომელზეც ის დაეცა, სწორი და ბრტყელი სახურავი ჰქონდა.

მამაკაცის ნათესავების თქმით, ის საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანია, ასევე, დეპრესია ტანჯავს. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. უცნობია, თუ ვის ეკუთვნის მინივენი. ადგილობრივების თქმით, ეს ავტომობილი დიდი ხანია, იქ დგას.

## მამის უსწრაფესმა რეაქციამ ოთხი წლის გოგონა ალიგატორისგან იხსნა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ლიგ-სიტის მკვიდრის უსწრაფესმა რეაქციამ მისი პატარა გოგონა სამმეტრიანი ალიგატორის თავდასხმისგან იხსნა.

ენდრიუ გრანდი სახლში იმყოფებოდა, როდესაც დაინახა პირდაპირ მისი ოთხი წლის გოგონასკენ მიმავალი ალიგატორი. ბავშვი იმ დროს ძმასთან და ძიძასთან ერთად პატარა მდინარის მახლობლად თამაშობდა.

გრანდი მაშინვე გაქანდა მდინარისკენ, შვილი ხელში აიტაცა და ღობის მეორე მხარეს გადასვა, შემდეგ კი თავისი ბიჭიც და ძიძაც უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანა.

მას შემდეგ, რაც ოჯახის წევრების უსაფრთხოებაში დარწმუნდა, გრანდმა ალიგატორებზე ნადირობის სპეციალისტს დაურეკა. რეპტილია გრანდის კუთვნილ ტერიტორიაზე დაიჭირეს და ქალაქ ბომონტის გარეული ცხოველების გატორ ქანთრის ცენტრში გადაიყვანეს.

## მამაკაცმა სხვისი ბავშვი ხანძრისგან გადაარჩინა და თავად უსახლოდ დარჩა



იამაიკის დედაქალაქ კინგსტონის მკვიდრი უსახლკაროდ დარჩა, სანამ ის ხანძრისგან სხვისი შვილის გადარჩენას ცდილობდა.

28 წლის სტუდენტი ლენსი სამზარეულოში საუზმეს ამზადებდა, როდესაც მეზობლის ბავშვის ყვირილის ხმა მოესმა. მან ფანჯარაში გაიხედა და ბოლი შენიშნა. მან მეზობლის სახლთან მიირბინა და მიხვდა, რომ ბავშვი შიგნით იყო გამოკეტილი.

ლენსს ნახევარი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ ბოქლომი გაეტეხა, რომლითაც კარიბჭე იყო ჩაკეტილი, შემდეგ სახლის შესასვლელი კარი გაეტეხა და ორი წლის ბავშვი გადაერჩინა.

როდესაც იამაიკელი სახლში დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ხანძარი მის სახლზე და ასევე იქვე მდგომ კიდევ ხუთ შენობაზე გადასულიყო. სახლი, რომელშიც ლენსი დედასთან, დასთან და მის ექვს შვილთან ერთად ცხოვრობდა, ბოლომდე დაიწვა.

ამ შემთხვევის მეორე დღეს ლენსთან ინტერვიუს ასაღებად ჟურნალისტები მივიდნენ, თუმცა ის ადგილზე არ დახვდათ, ვინაიდან ხანძრის შედეგად განადგურებული მნიშვნელოვანი საბუთების აღსადგენად იყო წასული. მისმა დედამ არეტა ბრაიანმა განაცხადა, რომ მათი დამწვარი სახლიდან ვერაფერი გადაარჩინეს.

ქალის თქმით, ხანძრის დროს ის სახლში არ ყოფილა, მას ქალიშვილმა დაურეკა და უთხრა, რომ სახლი აღარ ჰქონდათ და ღია ცის ქვეშ დარჩნენ.

– ახლა ყველაფრით ჩემი დები მამარაგებენ. ოთხოთახიანი ბინა გვქონდა და მისგან აღარაფერი დარჩა! ვერც ვერაფრის გადარჩენა მოხერხდა. ჩემი შვილი უფროს კლასში სწავლობს. მისი ფორმა, წიგნები, ჩანთა, ყველაფერი დაიწვა. ეს ძალიან მძიმეა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერს ეშველება, – განაცხადა ბრაიანმა.

## მეხმა ჰიდროციკლზე მჯდომი ფოსტალიონი იმსხვერპლა



ამერიკის ნევადის შტატის ქალაქ რენოს მცხოვრები კალიფორნიის შტატში მდებარე სტამპედის წყალსაცავში ჰიდროციკლით სეირნობის დროს მეხის დაცემის შედეგად დაიღუპა.

47 წლის ფოსტალიონი, ვეტერანი სამხედრო იუჯინ არაო, თავის მოზარდ შვილთან ერთად ჰიდროციკლით სეირნობდა. როდესაც ნაპირზე ბრუნდებოდა, მოულოდნელად ჭექაქუხილი ატყდა. არაოს მეხი დაეცა და წყალში ჩავარდა. ვინაიდან სამაშველო ჟილეტი არ ეცვა, წყალში ჩაიძირა და დაიხრჩო. დაღუპულის შვილმა მძიმე დამწვრობები მიიღო და საავადმყოფოში მოათავსეს.

მომხდარის თვითმხილველი გახდა შელი ბრიუსტერ ბრაიანტი. ის ტრაგედიის ადგილიდან ათ მეტრში იმყოფებოდა. ეს ნამდვილი საშინელება იყო. მე ჯერ კიდევ შოკში ვარ. ეს ყველაზე საშინელება იყო მათ შორის, რასაც კი ოდესმე შევსწრებივარ, – დაწერა ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე.

წყალში ჩაძირული მამაკაცის ამოყვანა ექოლოტის დახმარებით ქალის მეუღლემ მოახერხა, რომელმაც ჯერ ცოლი და თავისი ქალიშვილი გადაიყვანა ნაპირზე უსაფრთხო ადგილზე და შემდეგ შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა. მან წყალში სპეციალური ტივტივა ჩააგდო, ხოლო მყვინთავებმა გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი ოთხი მეტრის სიღრმიდან ამოიტანეს.

## პატიმრებმა ციხის მცველი გადაარჩინეს

ამერიკის ჯორჯიის შტატში სამმა პატიმარმა გადაარჩინა ციხის მცველი, რომელსაც გულის შეტევა დაემართა.

შერიფის თანაშემწე უორენ ჰობსი უგონოდ დაეცა და თავი გაიტეხა იმ საკანთან, რომელშიც მიტჩელ სმოლზი ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ცემისთვის იხდიდა სასჯელს. სმოლზი ერთადერთი იყო, რომელმაც ეს შენიშნა. მან საკნების კარებზე ბრახუნი ატეხა, რათა სხვა პატიმრები გაეღვიძებინა. მალე მას სხვა პატიმრები შეუერთდნენ.

ჰობსი მცირე ხნით მოეგო გონს და იმ საკნის გაღება შეძლო, რომელშიც ტერი ლავლესი და უოლტერ უაიტჰედი ისხდნენ და რომლებიც სასჯელს ასევე ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის იხდიდნენ. ისინი საკნიდან გამოცვივდნენ და ჰობს დასახმარებლად მისცვივდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ციხის თანამშრომლის კავშირგაბმულობის მოწყობილობა აიღო და ციხის სხვა თანამშრომლებთან დაკავშირება ცადა, მეორემ კი დახმარება ტელეფონით ითხოვა.

ამ ყოველივეს შედეგად ჰობსი ცოცხალი გადარჩა. შერიფის ოფისმა მადლობა გადაუხადა სმოლზს, ლავლესსა და უაიტჰედს მათი თანამშრომლისადმი დროული დახმარებისთვის.

## სტუდენტმა 180-კილოგრამიანი ზვიგენი დაიჭირა

სტუდენტმა ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატიდან უზარმაზარი ზვიგენი დაიჭირა და შემდეგ ისევ ოკეანეში დააბრუნა.



21 წლის სტუდენტი თიჯეი მინუტილო დიდ თევზებზე თევზაობამ ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში გაიტაცა. 18 წლის განმავლობაში მან სხვადასხვა სახეობის სამასზე მეტი ზვიგენი დაიჭირა.

შაბათს მინუტილომ გადაწყვიტა სათევზაოდ კუნძულ ლონგ-აილენდზე გამგზავრებულიყო. სატყუარად მან ზღვის მამალი გამოიყენა და მალე ორმეტრიანი 180-კილოგრამიანი რუხი ზვიგენი დაიჭირა. ახალგაზრდა მეთევზის აღიარებით, მას ასეთი დიდი ზვიგენი არასოდეს დაუჭერია.

მინუტილომ თავის ნადავლთან ფოტოსურათი გადაიღო და მერე უკან ოკეანეში დააბრუნა. ზვიგენთან გადაღებული ფოტოსურათი მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა და ინტერნეტ-მომხმარებლებისგან უამრავი აღფრთოვანების გამომხატველი კომენტარი მიიღო.

– ოკეანეს ყოველთვის აღფრთოვანებაში მოვყავარ, ხოლო მასში ყველაზე საინტერესო ზვიგენებზე თევზაობაა, – დაწერა ამერიკელმა სტუდენტმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# სერია ა–ს საუკეთესოები რონალდუს გარეშე



სერია ა-მ სხვადასხვა ნომინაციაში 2019-20 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელა. ამჯერად მმართველმა ორგანომ არჩევანი სტატისტიკაზე დაყრდნობით გააკეთა და საუკეთესოები იტალიის ჩემპიონატში, იტალიის თასზე და ქვეყნის სუპერთასზე ჩატარებული მატჩების მიხედვით გამოავლინა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელი ფორვარდი კრიშტიანუ რონალდუ ვერც ერთ ნომინაციაში ვერ მოხვდა.

2019-20 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი იუვენტუსის შემტევი პაულო დიბალა გახდა, რომელმაც სერია ა-ს ეგიდით გამართულ 33 შეხვედრაში 11 გოლი და ამდენივე შედეგიანი პასი მიითვალა.

საუკეთესო მეკარედ დიბალას თანაგუნდელი ვოიცეხ შესნი დაასახელეს, საუკეთესო მცველის ტიტული მილანის ინტერის ჰოლანდიელმა სტეფან დე ვრეიმ მიიღო, საუკეთესო ნახევარმცველად ატალანტელი ალეხანდრო გომესი აღიარეს, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელი რომის ლაციოს შემტევი ჩირო იმობილე გახდა. ეს გასაკვირიც არ ყოფილა – იმობილე სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირი და ევროპის „ოქროს ბუცის" მფლობელია. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი კი, დეიან კულუსევსკია, რომელიც პარმაში თამაშობდა, ხოლო მომდევნო სეზონს იუვენტუსში დაიწყებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 599–16–10–82, 593–99–62–52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა დიდებული ადამიანი, ძვირფასი და საიმედო მამა, მეგობარი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ნიჭიერი პოეტი

**ამირან თოდუა**

პანაშვიდი გაიმართება პარასკევს, 7 აგვისტოს, სარიტუალო დარბაზში. მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 6 (საბურთალოს სასაფლაოსთან).

გამოსვენება: შაბათს, 8 აგვისტოს, 15 საათზე, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან (მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 39ა).

*ოჯახი*

უზომოდ დაგვწყვიტა გული პოეტ

**ამირან თოდუას**

გარდაცვალებამ, რომელმაც სიცოცხლე ემიგრაციაში, სამშობლოს მონატრების ტკივილში გაატარა. ჭეშმარიტი მამულიშვილი, კეთილშობილი, ნიჭიერი ქართველი დააკლდა მეგობრებსა და საქართველოს.

ვუსამძიმრებთ ოჯახს.

*შალვა ნათელაშვილი და ბელა ალანია*

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ კარგი ადამიანის, ძვირფასი მეუღლის, მამისა და ბაბუის, ვეტერანი ფეხბურთელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის

**მურად წივწივაძის**

გარდაცვალების გამო. სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და მის დას, ქალბატონ დოდო წივწივაძეს.

*შალვა ნათელაშვილი და ბელა ალანია*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599–532–690 – 12-დან 17 საათამდე**

# პირველი წრის ფინიშზე



ეროვნული ლიგა ეკვატორს მიუახლოვდა – დარჩენილია პირველი წრის ბოლო ტური. ისე, უცნაური ტური გველოდება – 5 მატჩი 6 დღის განმავლობაში ჩატარდება. უფრო მეტი გუნდებიც გვინახავს საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ ასე „გაწელილი" ტური არასდროს ყოფილა. სწორედ ამ ტურმა უნდა გამოავლინოს ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებული.

ამ შუალედური ფინიშის მოგებაზე კი 3 გუნდი აცხადებს პრეტენზიას – გორის დილა, თბილისისა და ბათუმის დინამო.

ვის როგორი შანსები აქვს, ამაზე ცოტა ქვემოთ.

**6 აგვისტო**

**ტორპედო-თელავი**

**21:00 ქუთაისი. რამაზ შენგელია**

ბოლო დროს მშვენივრად ათამაშებული ტორპედო საკუთარ მოედანზე ელიგის დებიუტანტსა და სეზონის აღმოჩენა თელავს მასპინძლობს. წინა ტურში ტორპედომ სტუმრად ლოკომოტივი დაამარცხა და სეზონში მე-2 გამარჯვება მოიპოვა და ფლეი აუტის ზონიდან გამოვიდა, თუმცა წინ არანაკლებ რთული მატჩები ელოდება – მათ შორის, თელავთანაც. რევაზ გოცირიძის დამოძღვრილი გუნდი ამ სეზონში არანაირ ავტორიტეტებს არ ცნობს და მოედანზე ყველასთან საბრძოლველად გადის.

ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ ტორპედოს ამ სეზონში ჯერ არც ერთი მატჩი არ მოუგია საკუთარ მოედანზე, ხოლო თელავი კვლავაც პირველი საგარეო გამარჯვების მოლოდინშია...

**7 აგვისტო**

**მერანი-დინამო (თბ)**

**21:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2**

მერანი ლიგის ყველაზე სუსტი გუნდია და აქედან გამომდინარე, დინამო უდავო ფავორიტად მიიჩნევა. სავარაუდოდ, ქართული ფეხბურთის ფლაგმანი ამ მატჩს მოიგებს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კახა ჩხეტიანი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია და ხშირად მიმართავს როტაციას. ასევე, კარგად ჩანს, რომ ჯერ არ ჩამოუყალიბებია, ვის რა პოზიციაზე ათამაშებს და რა ტაქტიკურ გადანაცვლებებს მიმართავს.

მერანი განწირული მოჩანს. თუ გუნდი შარშან უკეთ გამოიყურებოდა და პირველი ლიგა დამაჯერებლად მოიგო, წელს ის გუნდებიც უკეთესად თამაშობენ, ვისაც გასულ სეზონში აჯობა.

**9 აგვისტო**

**ჩიხურა-დინამო (ბთ)**

**17:30 თბილისი. მიხეილ მესხი**

ჩიხურას მიზანი ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. თუმცა, რამდენად მოახერხებს ამას ბათუმის დინამოსთან?

გია გეგუჩაძის გუნდი საჩემპიონო პრეტენზიას აცხადებს და აუტსაიდერებთან ქულების დაკარგვა მის გეგმებში არ შედის. ზღვისპირელებიც ფავორიტებად მიიჩნევიან და იოლი გამარჯვების მოლოდინში არიან.

**10 აგვისტო**

**დილა-ლოკომოტივი**

**21:00 გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

გორელები ზაფხულის ჩემპიონობას უმიზნებენ, რაც არარეალური სულაც არ ჩანს. ამასთან, დილას საკმაოდ კარგი კალენდარი აქვს – ზედიზედ 3 მატჩს საკუთარ მოედანზე ითამაშებენ და, თუ მაქსიმალურ ქულებს აიღებენ, არც სეზონის ჩემპიონობა იქნება შორს.

ამბიციები ლოკომოტივსაც აქვს, რომელსაც აგერ უკვე 5 ტურია არ მოუგია. კიდევ ერთი წაფორხილება და გუნდი მაღალ მიზნებზე ფიქრს, ფაქტობრივად, დაემშვიდობება.

აქედან გამომდინარე, გორში კარგი მატჩი უნდა ვიხილოთ – ორივე გუნდი მოგებაზე ითამაშებს. ერთია, დილაც და ლოკოც მატჩს დანაკლისით შეხვდებიან – გორელები მთავარ ბომბარდირ მიკოლა კოვტალიუკს მოისაკლისებენ, ხოლო ლოკომოტივს დაცვაში დავით უბილავა დააკლდება. ორივე ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია.

**11 აგვისტო**

**სამტრედია-საბურთალო**

**17:30 სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს სამტრედიაშიც. იმერლები შინაურ არენაზე უკეთ თამაშობენ, ხოლო საბურთალო არასტაბილურად გამოიყურება და ჩავარდნები ახასიათებს. თუმცა, პროგნოზის გაკეთება რთულია.

საბურთალოს გიორგი კოხრეიძე დააკლდება, რომელსაც ტრავმა აქვს, ამავე მიზეზით გუნდის ლიდერს მოისაკლისებს სამტრედიაც – ნიჯატ ყურბანოვი 2 კვირით იუქმებს.

მთლიანობაში ისეთი სიტუაციაა, რომ გუნდებმა ქულები უნდა გაიყონ...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 8 | 4 | 4 | 0 | 14:5 | 16 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 4 | 3 | 1 | 14:3 | 15 |
| 3.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 5 | 0 | 12:5 | 14 |
| 4.საბურთალო | 8 | 3 | 4 | 1 | 9:6 | 13 |
| 5.თელავი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:5 | 11 |
| 6.ლოკომოტივი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| 7.ტორპედო | 8 | 2 | 2 | 4 | 6:12 | 8 |
| 8.სამტრედია | 8 | 2 | 2 | 4 | 6:14 | 8 |
| 9.ჩიხურა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | 5 |
| 10.მერანი | 8 | 0 | 4 | 4 | 2:12 | 4 |

# მანჩესტერი დორტმუნდს პირობების შეცვლას სთხოვს



თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მანჩესტერ იუნაიტედი დორტმუნდიდან ჯეიდონ სანჩოს გადაიბირებდა, მაგრამ მოულოდნელად აზრი შეიცვალა. გუნდის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ დორტმუნდელები არარეალურ თანხას ითხოვენ, მით უმეტეს, დღევანდელ მოცემულობაში.

ასევე კლუბში თვლიან, რომ 20 წლის ფეხბურთელისთვის დიდი ხელფასის გადახდა გუნდის პრინციპებს ეწინააღმდეგება. მათთვის სანჩოს შეძენა პრიორიტეტია, მაგრამ არსებობს სხვა ვარიანტებიც.

იუნაიტედმა დორტმუნდი გააფრთხილა, რომ ისინი მზად არიან ჩაშალონ მოლაპარაკებები სანჩოზე, თუ გერმანულ კლუბს არ სურს კომპრომისზე წასვლა და სატრანსფერო თანხის შემცირება.

ამავდროულად, იუნაიტედი არ აპირებს იმ ვადებში ჩატევას, რომელსაც დორტმუნდი ითხოვს – ხელშეკრულების გაფორმებას 10 აგვისტომდე. კლუბში თვლიან, რომ ერთადერთი ვადა ტრანსფერების დასრულებისთვის არის 5 ოქტომბრამდე.

ბრიტანული მედია იმასაც ადასტურებს, რომ სანჩოს პირადი ხელშეკრულების პირობები ჯერ არ არის შეთანხმებული. იუნაიტედს აღარ სურს გაიმეოროს ალექსის სანჩესთან სიტუაციაში დაშვებული შეცდომები, როდესაც ჩილელის უზარმაზარმა ხელფასმა შეცვალა გუნდში ატმოსფერო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედროების ჯგუფი; 2. კანიონი ხონის რაიონში; 3. შაქრით შეზავებული ხილის წვენებისგან მომზადებული აღმოსავლური სასმელი; 4. კანადელი ესკიმოსების ყინულის ქოხი; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. მარიონეტების ქართული თეატრის ფუძემდებელი; 11. აფხაზეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის კორპუსის ნაწილი; 18. უდაბნოში მზარდი მცენარე; 20. ქართული საგმიროპატრიოტული სიმღერა; 23. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 24. აფრიკული ცხოველი; 25. პირველი, ახლად მოსული თოვლი; 26. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. შოკოლადის ხე; 13. ცხენის ნაშიერი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 17. საფოსტო გზავნილი; 19. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 21. ზოდიაქოს ნიშანი; 22. მტაცებელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ქვაზე ან ხეზე; 28. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ალებასტრი; 2. ჰეროინი; 3. ტიროლი; 4. აქატი; 5. გრინგო; 11. სოკარი; 12. სეტერი; 14. გომი; 16. ლაქტოზა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. ბრომი; 22. აშარი.

**თარაზულად**: 6. კლარნეტი; 7. სექტორი; 8. ტვენი; 9. ჰამამი; 10. ლარსი; 13. გრიგი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. აისი; 21. ბოხოხი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. შპრეე; 2. ურავი; 3. ქანდარა; 4. მაცა; 5. ქამა; 6. ვივალდი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ფობია; 16. ტვიში; 18. ფრეგატი; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ულისე; 25. ბჟუჟი; 26. ჭომა.

**თარაზულად**: 7. ფასანაური; 8. კატალონია; 12. საარი; 13. ტაბლა; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. აბატი; 21. გენტი; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. თურმანიძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0739

ევრო — 3.6398

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0336

100 რუსული რუბლი — 4.2064

## ამინდის პროგნოზი 6 აგვისტოსათვის




## ღვთისმსახურის რჩევით წყალში ჩასული მოზარდი ნიანგის ნადავლად იქცა



ინდოეთის უტარ-პრადეშის მცხოვრები მოზარდი ღვთისმსახურის რეკომენდაციით მდინარეში საბანაოდ ჩავიდა და ნიანგის მსხვერპლი გახდა.

27 ივლისს დუდხვას ვეფხვების ნაკრძალის ტყის ზონაში 18 წლის რინკეშ კუმარი რელიგიურ რიტუალ „ხავანში“ – წმინდა ცეცხლისთვის მსხვერპლის შეწირვაში – მონაწილეობდა. რიტუალის დასრულების შემდეგ ღვთისმსახურმა კუმარს მდინარეში ბანაობა ურჩია.

როდესაც ახალგაზრდა წყალში შევიდა, მას თავს ნიანგი დაესხა. რეპტილიამ ყმაწვილი წყლის სიღრმეში ჩაითრია. ამ დროს ნაპირთან მდგომი კუმარის ინვალიდი მამა სასოწარკვეთილი ხმით ითხოვდა დახმარებას.

კუმარის ოჯახმა დახმარების თხოვნით სატყეო დეპარტამენტს მიმართა. ორგანიზებულ იქნა სამაშველო ოპერაცია, თუმცა დაღამების გამო ის შეჩერდა. დაღუპულის ცხედარი მეორე დღეს კისერსა და მხარზე ღრმა ჭრილობებით აღმოაჩინეს.

## მამაკაცმა მისთვის შეცდომით გადარიცხული მსხვილი თანხა დააბრუნა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრმა მამაკაცმა გამომგზავნს დაუბრუნა ფული, რომელიც მას შეცდომით საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხეს.

ბონდაილ ნტულიმ ტვიტერში დაწერა, რომ უცნობმა პირმა მას საბანკო ანგარიშზე შემთხვევით ცხრა ათასი რენდი ჩაურიცხა. გამომგზავნი საკუთარმა შეცდომამ შეაწუხა და ნტულის დაუკავშირდა.

იმის ნაცვლად, რომ ჩარიცხული თანხა თავისთვის დაეტოვებინა, ნტულიმ ის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა. ამის დასადასტურებლად მან საკუთარი ანგარიშის სკრინშოტი გამოაქვეყნა.

ინტერნეტმომხმარებლებმა მამაკაცის საქციელი მოიწონეს და ქების სიტყვები არ დაუშურებიათ.

– ღმერთი დაგლოცავს, ბონდაილ, იმისთვის, რაც შენ გააკეთე. ძალიან კარგი საქციელია, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

## დათვი-ზარმაცა სოკოზე წასულ მამაკაცს თავს დაესხა



ინდოეთის ჯარკხანდის შტატის მცხოვრებმა სხეულზე დაზიანებები პალამუს ვეფხვების ნაკრძალში დათვი-ზარმაცას თავდასხმის შედეგად მიიღო.

45 წლის ბიხორცის ტომის წარმომადგენელი ბანაა ასური ტყეში სოკოს შესაგროვებლად იყო წასული. მამაკაცი შეცდომით მეტისმეტად ახლოს მივიდა იმ ადგილთან, სადაც დათვი-ზარმაცები ბინადრობენ.

ცხოველი სოკოს შემგროვებელს თავს დაესხა და იარები სახეზე მიაყენა. ასურის ყვირილი მისმა კოლეგებმა გაიგონეს და დასახმარებლად მისულებმა მისი გადარჩენა მოახერხეს.

ასური საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის დათვისგან მიყენებულ იარებს იშუშებს. ნაკრძალ პალამუს სამხრეთ ქვეგანყოფილების დირექტორის მოადგილემ მუკეშ კუმარმა განაცხადა, რომ დაზარალებულს მკურნალობისთვის კომპენსაციის სახით ხუთი ათასი რუპია გადაუხადეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 აგვისტოსათვის

**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალი მრავალსართულიანი სახლის აივნიდან იძახის:

– ლამარა, ჩემი კაცი შენთანაა?

– არა, – პასუხობს ქალის ხმა მესამე სართულიდან.

– ჟანა, ჩემი კაცი შენთანაა?

– არა, – პასუხობს ქალის ხმა მეორე სართულიდან.

– ლელა, ჩემი კაცი შენთანაა?

– არა, პასუხობს ქალის ხმა პირველი სართულიდან.

– პირდაპირ საოცრებაა, სახლი ბოზებითაა სავსე, ჩემი კი ცირკთან უნდა ვეძებო!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, რომელი იარაღი გამოადგება ჩვენს მთავრობას კორუფციასთან საბრძოლველად?

– იაპონური.

– რომელი?

– ჰარაკირის გასაკეთებელი...

•••

ღმერთი ადამს ეკითხება:

– რა, ადამ, ნეკნი გენანება?

– არა, უბრალოდ, გული ცუდს მიგრძნობს...

•••

სასამართლოზე ადვოკატი განსასჯელის მეზობელ მოწმეს ეკითხება:

– ბრალდებულს თქვენთვის ნარკოტიკები თუ მოუცია?

– არა.

– და მის ცოლს თუ მოუცია?

– უკაცრავად, საუბარი ისევ ნარკოტიკებზეა?

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– შენთან თავს კარგად ვგრძნობ.

– ძალიანაც ნუ მიეჩვევი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანიტა რაჭველიშვილი: „მადლობა, საქართველოს მთავრობა, რომ საკუთარი ქვეყნიდან მაძევებთ!“



მსოფლიოში ცნობილი ოპერის ქართველი მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს მთავრობას ქვეყნიდან გაძევებაში ადანაშაულებს და საჯაროდ უხდის მადლობას:

– 10 აგვისტოს უკვე სახლში უნდა ვყოფილიყავით!

ორი კვირა თვითიზოლაციაში გაგვეტარებინა სახლში, სადაც მხოლოდ მე, ოთო, ფრენკი, სუზი და ბევრი ეზოს კატა ცხოვრობს! ტესტი უნდა გაგვეკეთებინა საკუთარი ხარჯებით, თუნდაც ყოველდღე ამ ორი კვირის განმავლობაში, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ არ გვაქვს კოვიდი. 2-კვირიანი იზოლაციისა და კოვიდის ტესტის მერე, მინდოდა კონცერტი ჩამეტარებინა ჩემი საყვარელი მსმენელისთვის „ულრან ტყეში“, სადაც ბოლო დროს ულამაზეს საღამოებს მართავენ მუსიკოსები.

ეს ყველაფერი არ გამოვა, სამწუხაროდ, რადგან არ ვარ თანახმა, რომ ჩემი უფლებები ირღვეოდეს და რაღაც სასტუმროს ერთ პატარა ოთახში გამოვიკეტოთ თავი მე და ჩემმა მეუღლემ ფრენკის გარეშე და კაცმა არ იცის რა პირობებში, იმიტომ, რომ არ ვარ თანახმა, რომ გავრისკო კარანტინში, დაავადების რისკი იქ უფრო დიდია, ასე მგონია!

თვითიზოლაცია ჩვენს საკუთარ სახლში, სადაც კამერები დგას და შეძლებდნენ გაეგოთ, რომ ნამდვილად არსად არ გავდგამდი ფეხს, თუმცა გადაწყვიტეს, რომ საკუთარ ქვეყანაში არ უნდა დავბრუნდე! ჩემს საყვარელ საქართველოში! და იძულებული ვარ დავრჩე იქ, სადაც ვარ ახლა!

მადლობა, საქართველოს მთავრობა, რომ საკუთარი ქვეყნიდან მაძევებთ!

დიქტატურის უმაღლესი ფორმაა ეს!

## ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილე ოზურგეთში აღინიშნება



10 აგვისტოს ცნობილ ქართველ ლოტბარს ანზორ ერქომაიშვილს 80 წელი უსრულდება.

ამ თარიღს ფოლკლორის ცენტრი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დრამატული თეატრის თაღებში აღნიშნავს.

მომღერლის, ლოტბარის, კომპოზიტორის, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმობნეული ქართული სიმღერების ჩანაწერების მომძიებლისა და გამომცემლის, სახელგანთქმული ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილეზე სპეციალური კონცერტი გაიმართება.

იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერებენ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“, ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“, მესტიის ანსამბლი „რიჰო“, კახეთიდან ანსამბლი „შილდა“, გალობის უნივერსიტეტის გოგონათა გუნდი, მგალობელ-მომღერალთა ანსამბლი „შემოქმედი“ და გენიალური გურული ტრიო „შალვა ჩემო“.

## ფოთის გარემონტებულ თეატრში წყალი ჩავიდა

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, შენობაში წვიმის წყალი მაინც ჩავიდა.

ინფორმაცია და ფოტოები თეატრის დირექტორმა თენგიზ ხუხიამ გაავრცელა:

– არადა, მხოლოდ წვიმის დროს ჩამოდის წყალი გარემონტებულ თეატრში.

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში გურამ შარაძის ქართული ემიგრაციის მუზეუმი გაიხსნა



საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში გურამ შარაძის ქართული ემიგრაციის მუზეუმი გაიხსნა. აქვე გადმოვიდა მისი მემორიალური კაბინეტიც, რომელიც 2017 წელს, ამავე ბიბლიოთეკის მეექვსე კორპუსში განთავსდა.

ინფორმაცია გურამ შარაძის შვილმა, რუსუდან შარაძემ გაავრცელა:

– ეროვნული ბიბლიოთეკა და გურამ შარაძე განუყოფელი იყო, არის და ამიერიდან, ხომ იქნება და იქნება. მისი უკანასკნელი გზაც ეს იყო – ეროვნული ბიბლიოთეკიდან შინამდე – ილია ჭავჭავაძის გამზირამდე.

დააკვირდით სიტყვებს – საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა. სად უნდა იყოს მამაჩემის კაბინეტი და მისი დაარსებული მუზეუმი თუ არა იქ?!

ულრმესი მადლობა ყველას, ყველას, ყველას, ვინც ამაში დიდი თუ მცირე წვლილი შეიტანა!

## გიორგი ბაბუაძე იაპონიის საიმპერატორო ორდენის მფლობელია



იაპონიის მთავრობის უმაღლესი ჯილდო „ამომავალი მზის ვერცხლის სხივების ორდენი“ კანსაის ფილარმონიული ორკესტრის ცნობილ ქართველ დირიჟორს გიორგი ბაბუაძეს გადაეცა.

ჯილდო მან ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო.

გიორგი ბაბუაძე იაპონელ მუსიკოსებს სამშობლოში ხშირად იწვევს და მისი ხელმძღვანელობით საქართველოში კლასიკური მუსიკის საღამოები ტარდება.

ქართველი მუსიკოსი იაპონიაში 1996 წლიდან წარმატებით მოღვაწეობს. ის კანსაის ქალაქის მთავარი ორკესტრის დირიჟორობის პარალელურად, კიოტოს ხელოვნების უნივერსიტეტში მასტერკლასებსაც ატარებს.

კლასიკური მუსიკის მოყვარულები იაპონიაში გიორგი ბაბუაძეს და მის შესაძლებლობებს ძალიან კარგად იცნობენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ქიმიური ელემენტი, რომელიც სიბნელეში ანათებს; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის ყურეში; 5. საათის მექანიზმი; 11. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 12. ავსტრიელი ექიმი ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 14. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 16. ავსტრალიის დედაქალაქი; 17. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 19. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 22. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ჩხუბის, აყალმაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 15. ასფალტზე სასრიალო გორგოლაჭიანი მოწყობილობა; 18. აეროპორტი ლუქსემბურგში; 20. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. ბრიტანული ყველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

